

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ი თ ხ ი თ

A R C H E I O N

IX

თბილისი 2015 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), თენგიზ ცინცქილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიძერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი), მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), მაკა ალბაგაჩიევა (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი)

Editorial Board

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Teona Iashvili (Tbilisi), Tengiz Tsintskiladze, Tengiz Salukvadze, Jaba Beridze, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi), Mariana Piskova, Nurie Muratova (Blagoevgrad, Bulgaria), Maka Albagachieva (Saint-Petersburg, Russia).

კრებულში გამოთქმული ნებისმიერ მოსახრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style is retained.

აჭარის საარქივო სამმართველო. ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი - <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „უნივერსალი”, 2015

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ელგუჯა ჩაგანავა

აჰარის საარქივო სამმართველოს მიმდევრული ფილი გამოშვერილი 2014 წელს გამოშვერილი ანბარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანოები 2014 წელს მუშაობას წარმართავდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

2014 წელს შესრულდა:

1. საქმეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერება:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	292	4023	1377
2	ქობულეთის არქივი	425	455	107
3	ხელვაჩაურის არქივი	250	258	103
4	ქედის არქივი	443	497	100
5	შუახევის არქივი	397	580	176
6	ხულოს არქივი	250	262	104
	სულ	2107	6075	288

2. საარქივო სამმართველოში მარტივი რესტავრაცია ჩაუტარდა 30138 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9024 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 333 %-ით. სარესტავრაციო სამუშაოების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რაც განპირობებულია ფონდების საქმეთა გაციფრისათვის (დიგიტალიზაციისათვის) მომზადების აუცილებლობით.

3. განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტის გამოვლენა.

2014 წელს სამმართველოში გადათვალიერდა ბათუმის მერიისა და აჭარის არ უზენაესი საბჭოს ფონდი რ-333, 1991-1997 წწ. (ფონდი №რ-10), 1996-2001 წლების 934 ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 934 შერტვულისა, გამოვლინდა 114 განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტი. გეგმა შესრულდა 100%-ით.

ასევე გეგმის მიხედვით გადათვალიერდა 350 ფოტოდოკუმენტი და გამოვლინდა 170 განსაკუთრებულად ღირებული ფოტოდოკუმენტი. გეგმა შესრულდა 116 %-ით.

4. დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	38133	38613	103
2	ქობულეთის არქივი	841	870	103
3	ხელვაჩაურის არქივი	2876	3042	105
4	ქედის არქივი	786	792	100
5	შუახევის არქივი	1529	1581	103
6	ხულოს არქივი	1225	1225	100
	სულ	45390	46123	103

5. დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება:

ა) 2014 წელს სამმართველოში და ტერიტორიულ ორგანოს-არქივებში აღიწერა 15 ფონდის 4112 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5196 საქმისა და გეგმა შესრულდა 79%-ით.

ბ) აღიწერა ასევე აუდიოვიზუალური დოკუმენტები – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფოტოდოკუმენტი (1900-2000 წლები) – 517 შესანახი ფოტოდოკუმენტი.

6. 2014 წელს გადამუშავდა 44 ფონდის დოკუმენტების ანაწერები:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთ-ეული	ფონ-დის რაოდ.	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	საქმე	19	4463	4535	101
2	ქობულეთის არქივი	„	4	1143	1143	100
3	ხელვაჩაურის არქივი	„	–	–	–	–
4	ქედის არქივი	„	–	–	–	–
5	შუახევის არქივი	„	2	591	616	104
6	ხულოს არქივი	„	1	872	872	100
	სულ		26	7069	7166	101

ანაწერების გადამუშავების შედეგად საარქივო სამმართველოში გასანადგურებლად გამოიყო 971 საქმე, აღიწერა №1 – 3419 საქმე.

141 საქმე გადაუცა პირადი შემადგენლობის ფონდსაცავს. ტერიტორიულ ორგანო-არქივებში გასანადგურებლად გამოიყო 1556 საქმე, აღიწერა 1062 საქმე.

7. 2014 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ თრგანოს არქივებში სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნა მმართველობითი ხასიათის და პირადი შემადგენლობის დოკუმენტები:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული თრგანოს არქივები	სახ. ერთ-ეული	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	შეს. ერთ.	1287	1989	154
2	ქობულეთის არქივი	„	325	555	170
3	ხელვაჩაურის არქივი	„	220	480	218
4	ქედის არქივი	„	104	206	198
5	შუახევის არქივი	„	150	183	122
6	ხულოს არქივი	„	180	326	181
	სულ		2266	3739	170

8. სამმართველოში 2014 წლის მონაცემებით, გეგმით გათვალისწინებული 92 ფოტოს ნაცვლად მიღებულია 104 ფოტოდოკუმენტი, რომლებიც ასახავენ აღმშენებლობით პროცესებს და რეგიონის სხვა ისტორიული მოვლენებს. ტერიტორიულ თრგანოს არქივებში მიღებულია 59 ფოტოსურათი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 ფოტოსურათისა.

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული თრგანოს არქივები	სახ. ერთ-ეული	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	შეს. ერთ.	40	45	112
2	ქობულეთის არქივი	„	12	14	111
3	ხელვაჩაურის არქივი	„	10	11	110
4	ქედის არქივი	„	10	10	100
5	შუახევის არქივი	„	10	10	100
6	ხულოს არქივი	„	10	14	140
	სულ		92	104	113

9. მიზნობრივი ექსპერტიზის ნაერთი ცხრილი

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	ფონდი	გეგმა	შესრულება	გამოიყო მაკულატ.	აღწ. სია	%
1	სამმართველო	27	13033	20602	5537	15065	158
2	ქობულეთის არქივი	3	467	467	157	289	100
3	ხელვაჩაურის არქივი	4	1776	2058	420	1637	115
4	ქადის არქივი	1	39	39	10	29	100
5	შუახევის არქივი	3	1372	1372	1063	309	100
6	ხულოს არქივი	1	160	298	80	218	186
	სულ	39	16847	24836	7267	17547	147

10. 2014 წელს მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა: 47 ორგანიზაცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34 დაწესებულება-ორგანიზაციისა. სულ 30702 საქმეთა ერთეული, მათ შორის მუდმივად შესანახი 2834 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 2412 საქმე, დროებითად შესანახი 2490 საქმე. მაგულატურაში გასანადგურებლად გამოიყო 22966 საქმე.

11. დოკუმენტების გამოყენება:

№ რ/გ	სულ	3460	3200	260	808	647	191	78636
	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	განცხადებები			შომართვები			სულ თასნა
1	ქობულეთის არქივი	697	636	61	181	135	46	20860
2	ხელვაჩაურის არქივი	1338	1293	45	209	187	22	32791
3	ქადის არქივი	466	460	6	—	—	—	5400
4	შუახევის არქივი	189	176	13	108	103	5	2141
5	ხულოს არქივი	310	307	3	114	127	17	5048
6	სამმართველო	460	328	132	196	95	101	12396

სამმართველოს ცენტრალური ორქივის საარქივო დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანის მიზნით შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარ-მოწყობილობა.

12. 2014 წელს ჩატარდა სამმართველოს მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 7 სხდომა. განხილული იქნა 208 საკითხი. მათ შორის: მმართველობითი 8924 საქმე, პირადი შემადგენლობის 7425 საქმე და 122 ფოტოდოკუმენტი. მაკულატურაში გამოიყო 36067 საქმე და განხილული იქნა 29 საქმის დაწესებულების ნომენკლატურა.

13. დიგიტალიზაცია. „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამმართველოში დაიწყო და მიმდინარეობს სამმართველოს არქივში დაცული ქაღალდუმიანი დოკუმენტების და ვიდეოდოკუმენტების ელექტრონულ ციფრულ მატარებელზე გადატანა. დღეისათვის ელექტრონულ მატარებელზე გადატანილია ფონდი ი-80-ის, რ-10-ის, რ-4-ის და რ-2-ის 5107 საქმეთა ერთეულის 599569 გვერდი. დასკანერდა 599569 ფურცელი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 594000 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 100,9%-ით, რედაქტირება გაუკეთდა 4171 საქმის 532782 ფურცელი.

14. გამოფენა: მოეწყო 16 გამოფენა, ნაცვლად გეგმიური 14 გამოფენისა.

კერძოდ:

1. სამმართველოში 9 გამოფენა (ნაცვლად 5-ისა);
2. ქობულეთში - 2 გამოფენა;
3. ხელვაჩაურში - 2 გამოფენა;
4. ქედაში - 1 გამოფენა;
5. შუახევში - 2 გამოფენა;
6. ხულოში -2 გამოფენა.

15. რადიო და ტელეგადაცემების მომზადება:

სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 8 გადაცემაში ადგილობრივ და რესპუბლიკურ სატელევიზიო არხებზე (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 გადაცემისა). ადგილობრივი ტელევიზიოთ გადაიცა არქივის თანამშრომლის თამაზ ფუტკარაძის ოთხი საჯარო ლექცია.

16. სამეცნიერო გამოცემები, ნაშრომები და საგაზეთო პუბლიკაციები:

2014 წლის განმავლობაში გამოიცა:

1. „არხეიონის“ მეშვიდე ნომერი, თბ. 2014
2. „არხეიონის“ მერვე ნომერი, თბ. 2014
3. ჩატარდა მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) (18-19.09.2014წ.)

4. გამოიცა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალების კრებული, თბ. 2014

17. 2014 წლის მონაცემებით მომზადდა და გამოქვეყნდა 31 სტატია, მათ შორის: „აჭარის საარქივო სამმართველო - 90 წლისაა“, „ისინი ქმნიდნენ საარქივო დარგის ტრადიციებს“, „2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“, „პავლე ინგოროვა - ლოდი რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა“, „შტრიხები რასიე ბერიძის ბიოგრაფიისათვის“ (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით), „სოფიის (ბულგარეთი) სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ“, „ალექსანდრე ნეკავლის სახელობის ტაძრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი (სამმართველოში დაცულ დოკუმენტების მიხედვით). გაზეთ „აჭარის 39-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია „ფიქრები დალო სეიდიშვილზე“ (05.06.2014წ.), ცალკე წიგნად გამოიცა „ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“ (თამაზ ფუტკარაძე და „ბათუმი“, რომელშიც დაიბეჭდება სამმართველოს არქივისტ ფრიდონ ქარდავას სტატიები „ბათუმი სეზონური წყალდიდობისას“, „ბათუმის მუდირი“, „მეთევზებისა და კონტრაბანდისტების ქალაქი“, „1921 წ. მარტი ბათუმში მაზნიაშვილისა და რუსი გენერლის ჩანაწერების მიხედვით“, „ცირკის დირექტორის განუხორციელებელი იდეა“, „თვითმფრინავების სადგური ბათუმში“, „არშემდგარი თავდასხმა იმპერატორზე“, „ორმაგი აგენტი იულია“, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-15 ნომერში დაიბეჭდა სტატია „პავლე ინგოროვა და მეცნიერებათა აკადემია“. მომზადდა და გამოიცა საარქივო სამმართველოს ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ბუკლეტი.

18. მომზადდა გეგმით გათვალისწინებული 3 თემატური ნუსხა და 2 საინიციატივო წერილი: „ბათუმში ამერიკის დიპლომატიური მისიისა“ (რომლის საფუძველზე რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სახლზე გაუსხსნა მემორიალური დაფა) და „ლაო ჯინ ჯაოს შესახებ“.

საერთაშორისო კონტაქტების გადრმავების მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ურთიერთობათა ამსახველი მასალების გამოვლენის, დამუშავებისა და პუბლიკაციისათვის. ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები უკრაინის ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზნით (20-22 ნოემბერი, 2013 წ), თუმცა უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო ვეღარ მოხერხდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

19. საარქივო-სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საარქივო ფონდების მიმოხილვა. 2014 წლის განმავლობაში გაკეთდა ანაწერები და მიმოხილული იქნა შემდეგი ფონდები:

1. სოფიის სახელმწიფო არქივში დაცული და აჭარის საარქივო სამმართველოში კოლექციის სახით შემოტანილი დოკუმენტების ანაწერი (ქ. იაკობაძე);
2. სოფიის სახელმწიფო არქივში დაცული და აჭარის საარქივო სამმართველოში კოლექციის სახით შემოტანილი დოკუმენტების მიმოხილვა (ქ. იაკობაძე);
3. ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) არქივიდან შემოტანილი დოკუმენტების ანაწერი (ქ. იაკობაძე);
4. ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) არქივიდან შემოტანილი დოკუმენტების მიმოხილვა (ქ. იაკობაძე);
5. ფონდ ი-78 მიმოხილვა (ფ.ქარდავა);
6. ფონდ ი-9 მიმოხილვა (ნ.გოგიტიძე);
7. ი-30 მიმოხილვა (მ.სურმანიძე);
8. ფონდი რ-335 მიმოხილვა (ც. ცინცაძე).

20. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

თ. ფუტკარაძე, პოლიტიკური და კულტურული მეხსიერება და 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი. ევროპაგშირის გრანტი 2012-2015 წწ. ;

21. თემატური ნუსხების შედგენა

არქივის თანამშრომელთა მიერ მომზადდა შემდეგი თემატური ნუსხები:

1. „საქართველო - აზერბაიჯანის ურთიერთობის შესახებ“;
2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და მასთან დამობილებული რეგიონები“;
3. „ბათუმის ქუჩები“.

საარქივო სამმართველოში კვლავაც გრძელდება აქტიური მუშაობა რობორც გეგმით გათვალისწინებული საკითხების, ისე შემხვედრი, ყოველდღიური სამუშაოების შესასრულებლად. არქივმა თავი გაართვა მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

Elguja Chaganava

The report of work done by Archives Administration in 2014

Summary

During 2014, Archives Administration worked in accordance with measures an agreed plan of National Archives of Georgia. In article is presented report of work done in 2014.

მაია რურუა

**საჭალოსნო ბზებზე წყლის ტრანსპორტის განვითარების
ხელშემყოფი და აღამიანთა სიცოცხლის დაცვის აჰარისტანის
საზოგადოების ფონდის (რ-855) ისტორიიდან**

საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობაზე, დაცვის აუცილებლობასა და გამოყენებაზე დღეს არავინ საუბრობს; ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ შეიძლება იქცეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფურცელი ღირებულ და ფასეულ დოკუმენტად.

ის, რაც არქივის შენობის გარეთ დაწესებულება და ორგანიზაციაა, საარქივო დაწესებულებაში დაბინავების შემდეგ საარქივო ფონდად იქცევა და მათში დაცული დოკუმენტების საშუალებით არქივში აგრძელებს სიცოცხლეს.

ბათუმი და მისი საკურორტო ზოლი, ისევე როგორც ნებისმიერი ზღვისპირა საკურორტო ზონა, წარმოუდგენელია სამაშველო სამსახურის გარეშე. სამაშველო სამსახური, თავისი მობილური მაშველ-ჯგუფებითა და სამაშველო, წყალზე მცურავი საშუალებებით, ფხიზლად იცავს დამსვენებელთა სიცოცხლეს.

აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული „საწყალოსნო გზებზე წყლის ტრანსპორტის განვითარების ხელშემწყობი და ადამიანთა სიცოცხლის დაცვის აჭარისტანის საზოგადოების“ ფონდში (რ-855) დაცულია ერთადერთი საქმე – „ბრძანების წიგნი“, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სრული წარმოდგენა შეგვექმნას 1930-1934 წლების სამაშველო სამსახურის საქმიანობის, სახელწოდების ცვლილების, ტექნიკური აღჭურვილობის, შინაგანაწესისა და სხვა საკითხების შესახებ.

ფონდში დაცული ბრძანების წიგნის მიხედვით 1930 წლს ბათუმში ფუნქციონირებდა წყალზე სამაშველო (მაშველთა) ბათუმის საზოგადოება (ასსცსა, ფონდი რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.1).

1931 წლის 16 სექტემბრიდან მაშველთა საკავშირო საზოგადოების დორექტივის საფუძველზე წყალზე მაშველთა ბათუმის საზოგადოება რეორგანიზებულია „საწყლოსნო გზებზე წყლის ტრანსპორტის განვითარების ხელშემწყობი და მშრომელთა სიცოცხლის დაცვის ბათუმის საზოგადოების“ სახელწოდებით (ასსცსა, ფ. რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.27), თუმცა 1931-1932 წლებში ეს ორგანიზაცია მოიხსენიება როგორც „მშრომელთა სიცოცხლის დაცვის“, ასევე „ადამიანთა სიცოცხლის დაცვის“ საზოგადოების სახელით. (ასსცსა, ფ.რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.36), ხოლო 1933 წლიდან საზოგადოებას ეწოდება „საწყლოსნო გზებზე წყლის ტრანსპორტის განვითარების ხელშემწყობი და ადამიანთა სიცოცხლის დაცვის აჭარისტანის საზოგადოება“ (ასსცსა, ფ.რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.42;46).

ბრძანების წიგნში გამოკვეთილი არ არის საზოგადოების დაქვემდებარება, სტრუქტურა, შტატი, შინაგანაწესი, თუმცა იგი ცალკეულ საკითხებზე იძლევა პასუხებს. საზოგადოებას ხელმძღვანელობდა უფროსი, პყავდა მეთაურთა შემადგენლობა, ზემდგომები, მატროსები, მენიჩბეები, ბუღალტერი, მაშველები, აგრეთვე აქტივისტი-მოხალისეები, რომლებიც იმყოფებოდნენ

საზოგადოების სამაშველო სადგურის აღრიცხვაზე (ასსცსა, ფ.რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.47). როგორც ბრძანების წიგნიდან ირკვევა, საზოგადოებას ჰქონდა მთავარი და სამაშველო-სპორტული სადგურები, ხომალდის სახელოსნო (კარაბელის მასტერსკა), სამაშველო კატარდა „ახალგაზრდა გვარდია“ და სხვა საცურაო საშუალებები, სამაშველო-სპორტული აღჭურვილობები.

1931 წლის 21 დეკემბერს, ბათუმის საზოგადოების ბრძანებით გემთმშენებლობის წარმოების, აგრეთვე აღნიშნული საზოგადოების ფუნქციისა და დანიშნულების ზრდასთან დაკავშირებით, ხომალდის სახელოსნოს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „საწყალოსნო გზებზე წყლის ტრანსპორტის განვითარების ხელშემწყობი და ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ბათუმის საზოგადოების გემთსაშენი – გერფი“ (ასსცსა, ფ.რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.29).

1933 წლის 1 მაისიდან ძალაში შევიდა სსრ კავშირის სამაშველო სამსახურის მიერ დამტკიცებული წესდება, რომლის საფუძველზე აჭარისტანის საზოგადოების მიერ გამოიცა ბრძანება, გამკაცრდა დისციპლინა და შინაგანაწესში შეტანილი იქნა სამხედრო ელემენტები (ასსცსა, ფ. რ-855; აღწ.1; საქმ.1; ფურც.47).

ამ წესდებისა და ბრძანების საფუძველზე საზოგადოების მეთაურთა კორპუსი, სადგურის უფროსი, ზემდეგი, მატროსები, მესაჭებები, მოტორისტები და აქტივმოხალისები ვალდებული იყვნენ ეტარებინათ ფორმა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა საზოგადოების წევრობის შესახებ და განმასხვავებელი სამკერდე ნიშნები. ამავე ბრძანებით დადგინდა მთავარ სამაშველო სადგურზე დროშის აღმართვა-დაშვების დრო: დილის 8 საათი და სადამოს 20 საათი. დროშის დაშვების შემდეგ უველა საცურაო საშუალება თავს იყრიდა სადგურთან და ეკრძალებოდათ შემდგომ ზღვაში გასვლა. განისაზღვრა სამაშველო კატერის „ახალგაზრდა გვარდიის“ ზღვაში გასვლისა და კურსიონების წესი.

საზოგადოება ამზადებდა კადრებს და აწყობდა მეცადინეობებს მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საწყალოსნო გზებზე წყლის ტრანსპორტის განვითარების ხელშემწყობი და ადამიანთა სიცოცხლის დაცვის აჭარისტანის საზოგადოების 1930-1934 წლების ს/ერთეული აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შესანახად შემოვიდა 1956 წელს და მიენიჭა ფონდის ნომერი რ-855. ფონდის ამავე ან სხვა პერიოდის მასალები არქივში შესანახად არ შემოსულა, რადგან დაწესებულება აღარ წარმოადგენდა ცენტრალური არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასსცსა, ფონდი რ-855, აღწერა 1; საქმე 1.

Maia Rurua

From the history of development of water transport on water ways and human life protection of Ajaristan society fund (R-855)

Summary

In Central State Archives of Ajara protected fund (R-855) - „development of water transport on water ways and human life protection of Ajaristan society” is represented only one case - „**Order book**”, by which we can know issues about rescues service activities in 1930-1934, changing of name, technical equipment, regulations and others. Based on mentioned fund the article discusses some issues of history of rescue service.

ნათია ბერიძე

საარჩივო სამმართველოში დაცული პარტიული ფონდები

საბჭოთა პერიოდის ისტორიის საკითხების კვლევა შეუძლებელია შესაბამისი ეპოქის პატრიული ფონდების შესწავლისა და ანალიზის გარეშე. საარქივო სამმართველოში დაცულ საისტორიო საბუთებს შორის პარტიულ ფონდებს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს.

ცნობილია, რომ 1989-1991 წლებში საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები. ქვეყანაში აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა. 1991 წლის 26 აგვისტოს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბრძანებულება - საქართველოში კომუნისტური პარტიის მოქმედების შეჩერების შესახებ. კომუნისტური პარტიის 70 წლიანი მმართველობა დასრულდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შენობაში განთავსებულ პარტიულ დოკუმენტებს შეექმნა განადგურების საშიშროება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1992 წლის 13 მაისს პარტიული არქივი მუდმივ შესანახად გადმოტანილ იქნა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შეიქმნა პარტიებისა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 2005 წლის 29 ნოემბრს მიიღო № 113 დადგენილება -, „საარქივო სამმართველოს აპარატის, სამმართველოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების რეორგანიზაციის შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე გაუქმდა პარტიების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილება (ასეცა, ფ. რ-1041, აღწ.1, საქმე N 21, ფურც.2) და ცენტრალური არქივების სტრუქტურაში შევიდა ფონდსაცავის სახით.

2014 წლის მდგომარეობით საბჭოთა პერიოდის დოკუმენტები წარმოდგენილია 550 ფონდის 150 854 შესანახი ერთეულით, მათ შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა 15 ფონდი.

პარტიულ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფონდია საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ფონდი (პ-1). ამ ფონდის 1921-1950 - იანი წლების მასალებში მირითადად წარმოდგენილია აჭარაში საბჭოთა წყობილების დამყარების, რევოლუციამდებლი სახელმწიფო მმართველობითი აპარატის სისტემის ლიკვიდაციის, ახალი საბჭოური დაწესებულებების შექმნის, ცენტრალური და აღგილობრივი მმართველობითი ორგანოების ჩამოყალიბების, ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი უნიკალური დოკუმენტები.

საარქივო ფონდებში დაცულია აგრეთვე: სსრკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებები, პლენუმების, კონფერენციებისა და ბიუროს სხდომების ოქ-

მები, ნომენკლატურული მუშაკების დამტკიცების, ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტის მოღვაწეობის, კომუნისტური უჯრედების დაარსების, ბათუმის ოლქში გასაბჭოების მიმდინარეობის, აჭარაში მცხოვრები ბეგების წინააღმდეგ ბრძოლის, მემედ აბაშიძისა და ხიმშიაშვილების პოლიტიკური ორიენტაციის, მათი აჭარაში დაბრუნებაზე ნებართის მიცემის, შარიათის სასამართლოს ორგანიზაციისა და დებულების დამტკიცების, ადგილობრივ სახალხო მასწავლებელთა კურსების გახსნის, ქართული, რუსული, ბერძნული, სომხური და თურქული გაზეთების გამოცემის, აჭარისტანის მუსლიმან მწერალთა საზოგადოების, ფუხარა აჭარელთა კავშირის, წითელი ჯვრის კომიტეტის, ბათუმის რევოლუციური თეატრის, თურქეთ-კავკასიის საზღვრის დამდგენი კომისიის, რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, პარტკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მაზრებისა და გლეხკომების შექმნის მასალები.

პარტიულ დოკუმენტებში უხვადაა წარმოდგენილი ბათუმის რევოლუციის მუზეუმის, ორწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნის, აეროდრომის მოწყობის, მორწმუნე მრევლისათვის ეკლესიების დაბრუნების, კერძო აგარაკების ნაციონალიზაციის, ჩაქვის სახალხო მამულის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის, საოლქო სასამართლოს უმაღლეს სასამართლოდ გარდაქმნის, აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ბათუმის საოპერო თეატრის ლიკვიდაციის, განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის, ბათუმის საქალაქო საბჭოსა და ჭოროხის მაზრის გაერთიანების, სახელმწიფო ბიბლიოთეკისა და ქალაქის აღმასკომის დაარსების შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფონდში დაცული მასალები მუსლიმან მამაკაცთა შორის მრავალცოლიანობის აკრძალვის, აჭარისტანის ტელეფონიზაციის, ინვალიდთა კოოპერაციის დაარსების, ჩადრის ახდის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარების, აჭარაში მცხოვრებ ქალთა ყრილობის მოწვევის, საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღების, კინემატოგრაფიის სტუდიის გახსნის, მაზრების და რაიონების, რკინიგზის სადგურისა და ციტრუსკომბინატის მშენებლობის, ბათუმის ქუჩების დაგეგმარებისა და საესკიზო პროექტების დამტკიცების, აჭარის სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ.

დოკუმენტების სიუხვითა და მნიშვნელობით გამოირჩევა ამავე ფონდის 1960-1980- იანი წლების საისტორიო საბუთები, რომლებიც მოგვითხოვენ აჭარაში სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, სახელდობრ: სამუნებლო ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებას, კურორტების კეთილმოწყობას, ტურიზმის განვითარებას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის საღამოს დასწრებული ფაკულტეტის დღისა და საღამოს სწავლების ფაკულტეტთა გარდაქმნას, ბათუმის რაიონის რეორგანიზაციის, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და განათლების განვითარებას, საპატიო წოდებების დაწესებას და მინიჭებას, ნარკომანიის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, სამოქალაქო რიტუალების შესრულებაში

წესრიგის დამყარების ღონისძიებებს, მაღალმთიანი რაიონებიდან სტიქიური უბედურების შედეგად სხვა რაიონებში ჩასახლებას, მიწის კანონებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვას, 1941-1945 წლების ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ სამხედრო მომსახურეთა ოჯახებისათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას, კერძო მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას, მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებას, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების კომპლექსების მშენებლობას და სხვა.

ფონდებში ინახება ნომენკლატურულ პირთა, პარტიის წევრთა, სკპ რიგებში მიღებულთა და გარიცხულთა სიები, პირადი საქმეები, სააღრიცხვო ბარათები, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშები, სამუშაო გეგმები და ხელფასის უწყისები.

კომპარტიის 70 წლიანი ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო და ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონული კომიტეტების ფონდები, რომლებშიც ძირითადად დაცულია პარტიული კონფერენციების, პლენუმების მასალები, ბიუროს სხდომის ოქმები, დადგენილებები, მიმოწერები ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციებთან, აჭარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების, სკპ წევრთა რიგებში განდიდატთა მიღების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების შექმნის, იდეოლოგიური და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ხეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა პასუხისმგებაში მიცემის, საზღვრისპირა რაიონების დაცვის, მშრომელთა ათეისტური აღზრდის, სოციალისტური შეჯიბრებების ფართოდ დანერგვის და სხვა საკითხების შესახებ.

საბჭოთა ეპოქის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ალექ აჭარის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ფონდებს, რომელთა პლენუმების კონფერენციების, კომიტეტების, ბიუროების და საერთო კრების ოქმებსა და დადგენილებებში ფართოდ არის გაშუქებული ახალგაზრდობის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ზოგადსაგანამანათლებლო, პროფესიული და კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, ბავშვთა უმეთვალყურეობასა და უპატრონობასთან ბრძოლა, კომკავშირელთა რიგების ზრდის მდგომარეობა, კომკავშირული მოძრაობების ეტერანთა და პიონერთა საბჭოების მუშაობა, მოხსენებითი ბარათები და მიმოწერები ზემდგომ პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებთან - კადრებთან და შიდაკომპავშირული მუშაობის, პიონერთა ბანაკების მოწყობის, კომკავშირული საგზურებით ახალგაზრდობის მშენებლობებზე გაგზავნის საკითხებზე, ასევე კომკავშირელთა სიები, სამუშაო გეგმები, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშები და ხელფასის უწყისები.

პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ფონდებში ინახება კომიტეტების, ბიუროების და საერთო კრების ოქმები: შიდაპარტიული და კომკავშირული, პროპაგანდისტთა, ლექტორთა ჯგუფების და ვეტერანთა საბჭოების მუშაობის, მუდმივმოქმედი სემინარების ჩატარების, პარტიის წევრთა და კომკავშირელთა რიგების ზრდის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ დანერგვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ზრუნვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ დანერგვის, ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა საკითხების ამსახველი საარქივო დუპუმენტები.

2004 წელს საარქივო სამმართველოში სახელმწიფო აღრიცხვაზე მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის (პ-23), დემოკრატიული აღორძინების კავშირის (პ-3) და დემოკრატიული აღორძინების კავშირის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის (პ-4) საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

დემოკრატიული აღორძინების კავშირის (1991-1999 წწ.) და დემოკრტიული აღორძინების კავშირის ბათუმის საქალაქო საბჭოს (1992-2000 წწ.) ფონდებში ინახება კავშირის დამფუძნებელი კრების ოქმები, საინიციატივო ჯგუფის, ყრილობის, საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის, კავშირის პროგრამის, დროშისა და ემბლემის, კავშირის რეგისტრაციაში გატარების, სახელწოდებათა ცვლილებების ამსახველი მასალები. დოკუმენტები შიეცავენ ცნობებს საქართველოს აღორძინების კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს ახალგაზრდული ორგანიზაციის, კავშირის თბილისის, აღიგენის, ბოლნისის, ლანჩხუთის, გარდაბნის, მცხეთის, გურჯაანის, საგარეჯოს, მარნეულის რაიონული ორგანიზაციების შექმნის შესახებ; მიმოწერები და მოხსენებითი ბარათები აჭარის არ უზენაეს საბჭოსთან და აჭარის არ იუსტიციის სამინისტროსთან საქართველოს აღორძინების კავშირის, საინფორმაციო სააგენტო „აღორძინების“ რეგისტრაციაში გატარების თაობაზე. აქვეა დაცული კავშირის წესდება, პროგრამა, არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემული სააგიტაციო ფურცლები, დეპუტატთა ავტობიოგრაფიები, წინასაარჩევნო პროგრამის საკითხები და სხვა მასალები.

ფონდი პ-1 დან (აჭარის საოლქო კომიტეტი) გამოვლენილია განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტები, შედგენილია თემატური ბარათები და თემატური ნუსხები, რომლებშიც ასახულია ცნობები აჭარაში ჩაის სააქციო საზოგადოების, ქალაქის აღმასკომის, კომუნალური ბანკის, მუსიკალური სახწავლებლის, ბათუმში ფოტომოუფარულთა არტელის, პოლიგრაფიული მრეწველობის, საუწყებო მილიციის, მუშა-ახალგაზრდობის თეატრის, კულტურისა და რელიგიის ისტორიის მუზეუმის, ინვალიდთა კოოპერატივის დაარსების, აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის საწარმოთა გაერთიანების და სახელწოდების შეცვლის, ჩაქვის სახალხო მამულიდან ქურთების გადასახლების, ქალაქის საბჭოსა და ჭოროხის მაზრის გაერთიანების, გაზეთ „წითელი აჭარისტანის“ გამოცემის, ბათუმის საზღვაო-საგაჭრო პორტის ახალი საზღვრების დადგენის, საეკლესიო ქონების დენაციონა-

ლიზაციის, ბათუმის ქუჩების დაგეგმარებისა და საესკიზო პროექტების განსაზღვრის, გაზეთ „ფუხარას“ სახელის შეცვლის, რუსულ სკოლებში აისორების, ლექციებისა და იეზიდებისათვის სპეციალური ჯგუფების გახსნის, ბათუმის აგრონომიული ტექნიკუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთების, ბერძნების მასობრივი ემიგრაციის, აჭარის-განში „კინომხანაგობის“ დაარსების, ბათუმის რაიონის ცენტრის ბათუმიდან დაბა ხელვაჩაურში გადატანის, საქართველო-საბერძნეთის, საქართველო - რუმინეთის მეგობრობის და სხვა საკითხების შესახებ.

საარქივო სამმართველოს პარტიული ფონდები მუდმივად ივსება ახალ-ახალი დოკუმენტებით. შესაბამისად, ფონდსაცავში მნიშვნელოვანი ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნისა და განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით 15 ძირითად ფონდზე დაიწერა ისტორიული ცნობები. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის სრულყოფისათვის კვლავაც ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. პარტიული ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შესასწავლია. მათ გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მე-20 საუკუნის ისტორიის, ქვეყნის პოლიტიკური, კონომიკური და კულტურული ასპექტების გაშუქება. საარქივო სამმართველოს პარტიულ ფონდებში დაცული მასალები არსებითად ამდიდრებენ ჩვენი ისტორიის შესახებ არსებულ მონაცემებს, ხელს უწყობენ საზოგადოებისა და სახელმწიფო ცხოვრების ობიექტური სურათის აღდგენას. საისტორიო საბუთებში სათანადოდად ასახული ჩვენი თანამემამულეების ცხოვრება, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა, ფ. პ-1
2. ასსცსა, ფ. პ-3
3. ასსცსა, ფ. პ-4
4. ასსცსა, ფ. პ-23
5. ასსცსა, ფ. რ-1041

Natia Beridze

**Party funds protected in Archives Administration
Summary**

It is impossible to study Soviet period history issues without study and analysis of appropriate epoch party funds. In Archives Administration between history documents, party funds occupy a special place. In article is discussed about these funds.

ელგუჯა ჩაგანაგა ეთერ ნათელაძე

ბანსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტები
სადაზღვევო ცონდი

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ნახევარ მილიონზე მეტი დოკუმენტის შორის გამორჩეულია განსაკუთრებული ღირებულების ქვეყნის დოკუმენტები. მათგან არაერთი დოკუმენტი იშვიათი, ერთადერთია და თავისი ღირებულებით უნიკალურ ფასეულობას განეკუთვნება. საარქივო სამმართველოში სისტემატურად მიმდინარეობს ასეთი დოკუმენტების გამოვლენა, ორიგინალების დაცვის ღონისძიებები, დოკუმენტებიდან გადაღებული პირების კომპლექტაცია. შესაბამისად, განსაზღვრულია უნიკალური დოკუმენტების გამოვლენის ზოგადი კრიტერიუმები (ფონდშემქმნელის მნიშვნელობა, დოკუმენტების ავტორობა, დოკუმენტების შექმნის დრო, დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის ღირებულება, დოკუმენტის იურიდიული ძალა, ნამდვილობა და ა. შ.). განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი მნიშვნელოვანი ფონდების ჩამონათვალის, სისტემისა და აღწერის მიხედვით. საქმეთა შერჩევის პრინციპები მიღებულია დოკუმენტების ინფორმაციულობის ხარისხი და მნიშვნელობა.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში განსაკუთრებული ღირებულების დოკუმენტების გამოვლენა დაიწყო 1981 წლიდან. 2014 წლის მდგომარეობით, გამოვლენილია განსაკუთრებულად ღირებული 19 422 საქმეთა ერთეული, მათ შორის: მმართველობითი ხასიათის – 18 535 საქმე, პირადი წარმოშობის – 278 საქმე, კინო – 12 საქმე, ფოტოდოკუმენტი 597 საქმეთა ერთეული. გამოვლენილი დოკუმენტები აღწერილი და დამტკიცებულია საარქივო სამმართველოს საექსპერტო შემთხვებელი კომისის სხდომებზე. გამოვლენილ საქმეთა რაოდენობა შეტანილია არქივის პასპორტში.

განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი და მოვლენა. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს განეკუთვნება ბათუმის საკრებულოს 1896 წლის გადაწყვეტილება ქალაქში ელექტრო ტრამვაის ლიანდაგების დაგებისა და ახალი სატრანსპორტო საშუალების შემოყვანის თაობაზე, რაც სამწუხაორიდ არ განხორციელებულა (ასსცსა, ფონდი №7, აღწ.-I, საქ.-249, ფ.45). დოკუმენტებში დაცულია აგრეთვე ბათუმის მმართველობის მოხსენება საცხენო-სარქინიგზო გზის მშენებლობის შესახებაც.

ასევე საინტერესო მასალებია დაცული ბათუმის თვითმმართველობის ფონდში. საქალაქო თვითმმართველობისადმი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოწერილობიდან ირკვევა, რომ 1899 წელს ბათუმის „ნურიე გელის“ ტბის სანაპიროზე გათვალისწინებული იყო სამხედრო ხომალდების ნავსადგურის მშენებლობა და შედგენილი იყო შესაბამისი ნახაზები „ნურიე გელის“ ტბის ზღვასთან მიერთების თაობაზე (ასს ცსა, ფონდი ი-6, აღწ.1, საქ.-199, ფ. 1-94).

გურადღებას იპყრობს ინჟინერ სვიშევსკის წინადაღებები ზღვის სანაპიროს გამაგრების (ასსცსა, ფონდი ი-7, აღწ.-1, საქ.524, ფ-2), ბათუმ-ყარსის რკინიგზის მშენებლობის (1916 წლისათვის) (ასს ცსა, ფ. ი-7, აღწ.-1, საქ.633, ფ-7), ბათუმის რაიონის სოფელ კაპანდიბში საპატიო გზის მშენებლობის (1927 წლისათვის. დაცულია პროექტი) (ასსცსა, ფონდი-170, აღწ.1, საქ.-133, ფ. 88), რეგიონის სასარგებლო წიაღისეულის (1926 წლის მასალებში) (ასს ცსა, ფ. 170, ან. 1, საქ. 546, ფურც. 33), სოფელ მერისის წიაღისეული სიმდიდრის (1931 წლის მასალებში) (ასს ცსა, ფ. 170, ან. 1, საქ. 220, ფურც. 323) და სხვა საკითხების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1951 წლის მასალებში დაცულია მეცნიანეობის განვითარების ისტორის საკითხები აჭარაში (ასს ცსა, ფ. 84, ან. 1, საქ. 1272, ფურც. 55).

მეტად მრავალფეროვან და საყურადღებო მასალებს შეიცავს აჭარის მწერალთა კავშირის ფონდები დაცული დოკუმენტები. მათ შორისაა მასალები მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის აჭარის მუდმივმოქმედი კომიტეტის დაარსების შესახებ (ასს ცსა, ფ. 982, ან. 1, საქ. 3, ფურც. 65).

განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების რიგს განეკუთვნება პირადი წარმოშობის ფონდები, ბათუმისა და მისი ოლქის მმართველობის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, კადეტ მასლოვის მოგონება „ბათუმი 1917-1920 წლებში“ (ასს ცსა, ფონდი ი-67, აღწ.-1, საქ. 13,14,15 –სამ ტომად), სახკომისაბჭოს ფონდები დაცული ის მასალები, რომლებიც შეეხება აჭარაში სახალხო განათლების პრობლემებსა და პერსპექტივებს. 1924 წლის მასალებში დაცულია აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისადმი, რათა მომდერალი დავით ანდლულაძე გაიგზავნოს იტალიაში მუსიკალური განათლების მისაღებად და დაენიშნოს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია (ასს, ცსა, ფონდი-5, აღწ.1, საქ.-49, ფ. 1-14).

მკლევართა და სპეციალისტთაოვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რევკომის პირველი სხდომის ოქმები, ანგარიშები, მოხსენებები, საქართველოსა და აჭარის რევკომების დეკრეტები, ბრძანებები (აჭარის რევოლუციური კომიტეტის (რ-1, 1921-1922წ), ცაჯის (რ-4, 1921-1938წ.), უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (რ-322, 1938-1990), მინისტრთა საბჭოს (რ-2, 1921-1990წ.), განათლების სახალხო კომისარიატის (რ-5, 1921-1983წ.) და სხვა ფონდებში დაცული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები, რომლებშიც ასახულია ჩადრის ახდის, მიწის ნაციონალიზაციის, ქობულეთის კურორტად გამოცხადების, დრამატული თეატრის გახსნისა და მოძრავი კინოების მოწყობის, პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების, სტადიონის მოწყობის, მეორე მსოფლიო ომში აჭარის მშრომელების მიერ ფრონტისათვის გაწეული დახმარების, ნავთობზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტები გამოვნელინია აჭარის მინისტრთა საბჭოს 1988-1995 წლების მასალებიდანაც. ამ თვალსაზრი-

სით ფურადღებას იმსახურებს პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ნაკრძალად გამოცხადების, სელიმ ხიმშიაშვილის ფონდის დაარსებისა და საქმიანობის, ფიჭვნარის ნაქალაქარის სამაროვნების დაზიანების და მისი გამოსწორების გზების, დაბა ხულოში სასულიერო სასწავლებლის გახსნის და სხვა საკითხების შესახებ არსებული დოკუმენტები.

საარქივო სამმართველოში სხვა განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტებიცაა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მათი დაცვის უზრუნველყოსა და სადაზღვევო ფონდის შექმნის აუცილებლობა. 2012 წლიდან საარქივო სამმართველოში დაიწყო მუშაობა განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადასატანად, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს არქივში დაცული დოკუმენტების საიმედო დაცულობას. თუმცა ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებს განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტთა განსაზღვრის პრიტერიუმები.

სადაზღვევო პირის გადაღებას ექვემდებარება განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტები, მათ შორის უნიკალური დოკუმენტები და იმ ფონდის ყველა აღწერა, რომლებშიც განსაკუთრებული ღირებულების საქმეებია.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში გამახვილებულია ყურადღება განსაკუთრებული ღირებულების მქონე საქმეთა ერთეულების და მათი ორიგინალების დაცვასა და დოკუმენტებიდან გადაღებული პირების კომპლექტებზე. განსაზღვრულია გამოვლენის ზოგადი კრიტერიუმები, კერძოდ: ფონდშემქმნელის მნიშვნელობა, დოკუმენტების ავტორობა, დოკუმენტების შექმნის დრო, დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის დორებულება, დოკუმენტის იურიდიული ძალა, ნამდვილობა.

საარქივო სამმართველოს არქივისტები სწორედ ამ კრიტერიუმების, წინასწარ შედგენილი მნიშვნელოვანი ფონდების, სისტემისა და აღწერის საფუძველზე ახდენენ განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენას. შერჩევის ძირითად პრინციპად მიღებულია დოკუმენტების ინფორმაციული მდგომარეობა – შემადგენლობის, მონაცემებისა თუ მხარის მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენების ამსახველი ფაქტების კონტექსტში.

გამოყენებული წყაროები:

1. ასეცსა, ფონდი-5, აღწ.1, საქმ. 49
2. ასეს ცსა, ფონდი N ი-6, აღწ.1, საქმ.199, ფურც. 1-94
3. ასეცსა, ფონდი № ი-7, აღწ-I, საქმ. 249, 524, 633
4. ასეს ცსა, ფონდი ი-67, აღწ.-1, საქ. 13,14,15 –სამ ტომად
5. ასეცსა, ფ. 84, ან. 1, საქმ. 1272
6. ასეცსა, ფონდი-170, აღწ.1, საქმ. 133, 220, 546
7. ასეს ცსა, ფ. 982, ან. 1, საქმ. 3
8. ასეცსა, ფ. რ-1, რ-2, რ-5, რ-322

**Elguja Chaganava
Eter Nateladze**

**Exceptionally valuable documents
Insurance fund
Summary**

More than half-million documents are protected documents in Central State Archives of Archives Administration of Ajara and between them are exceptionally valuable documents. The article discusses issues of these documents and insurance fund.

ნაილე მიქელაძე

„თეთროსნის“ ეფიზოლოგია შართულ ფოლკლორში

ქრისტიანულ სამყაროში, საქართველოში არ მოიქცებენ წმინდანი, მოწა-
მე იქნება იგი თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც თავისი პოპულა-
რობით წმ. გიორგის შეედრებოდეს. აჭარაში რაც კი შემორჩენილია ნანგრევი
თუ ეკლესია, თითქმის ყველა წმ. გიორგის სახელზეა აშენებული. ტაო-კლარ-
ჯეთის სამონასტრო კერძის აგება, სწორედ წმ. გიორგის სახელობის ტაძრით
დაიწყო – ეს იყო „ხანძთა – საყოფელი დიდისა მოწამისა გიორგისა“, რომე-
ლიც იქცა არა უბრალოდ პირველ, არამედ მთავარ ტაძრად ტაო-კლარჯეთში.
ნიშანდობლივია, რომ გ. მერჩულე კლარჯეთის მეუდაბნოებს წმ. გიორგის
ადარებს (სირაბე 1987: 154).

წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები ყოფილა – ხიხანში, ცხმორისში,
ჰვანაში, ჯიხანჯურში, ხინოში, შუბანში, გვარაში, ხუცუბანში, დაგვაში, აჭ-
უვაში, ხალაში, ხულოში. მათს ჩამონათვალს შეიცავს S-1702 ხელნაწერი (1744
წ.): „ლოცვაი ყოვლისა სენისა მკურნალი... წმიდაო გიორგი ხიხარისაო... ხონი-
საო... ილორისაო... სუჯუნისაო... ჭინათისაო... ამაღლებისაო... გორისაო... დვაბ-
ზუისაო... ჰვანისაო... გაკისჯვრისაო... გოგორეთისაო... კონკათისაო... ჯიხანჯუ-
რისაო... შუშანეთისაო... გვარამეთისაო... ხუცუბისაო... დაგვისაო... ჩაქვისაო...
საკურთხევლისაო... ტყვეთა მხსნელო“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა
ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
S კოლექცია, ტ. III, ე. მეტრეველის რედაქციით თბ., 1963, გვ. 165).

ასევე წმ. გიორგის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული აჭარაში და-
ცული ტოპონიმები: გორგაულის ხევი (ს. ბზუბზუ), გორგინაული (ს. ვაიო),
გორგული (ს. ხარაულა, ქიძინიძები), გიორგილაქედი (ს. ტომაშეთი), გორგიმე-
ლეთი (ს. ტომაშეთი), გორგაულები (ს. ჩაისუბანი), სოფელი გორგაძები (ქო-
ბულეთისა და ხულოს რაიონებში) და სხვათ.

საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე აგებულ ნაგებოთა შორის
რამდენიმე საკულტო ცენტრი იწოდება „თეთროსნად“. კერძოდ: სვანეთის, ხო-
ბის, დადამეს და სხვათა ეკლესიები. ამავე სახელწოდების ტოპონიმი გხვდე-
ბა სვანეთშიც, კერძოდ, სოფ. შეკედში ნასაყდრალს „თეთროსანი“ ეწოდება (იხ.
მ. გიორგაძე წ, თეთროსანი. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 18, VII, 1989).

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია „თეთროსანი“ უძველესი რელიგი-
ური ცენტრია, რომელიც სოფელ გაბარა-ხუცუბის განაპირას მდებარეობს.
მეცნიერების ვარაუდით, „თეთროსანი“ ეწოდებოდა არა მარტო სალოცავს,
არამედ მის ირგვლივ არსებულ საქმაოდ დიდ ტერიტორიას.

ხალხური სიტყვიერების მასალების მიხედვით, ხუცუბის „თეთროსნის“
შენებლობა, სწორედ, წმინდა გიორგის სახელს უკავშირებდა. ამავე სოფ-
ლის მცხოვრები გულიკო ბაუების მონათხოვით, სოფელში გავრცელებული
ყოფილა შემდეგი თქმულება: „ძველად ამ სოფელში ეკლესია რომ შენდებოდა,
აშენების დროს, თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი მოსულა. ის მშენებლებს
ეხმარებოდა. მისი შემწეობით აუგიათ ეს ეკლესია, ამიტომ ამ ეკლესიისათვის
„თეთროსანი“ დაურქმევიათ (ბაუება დარიკო, 43წ. მცხოვ სოფ დაგვა (ხუცუ-
ბანში). ჩავიწერ 2007წ).

ინფორმატორი წინაპართა გადმოცემებს ეყრდნობა. მთქმელი, რომელ-
მაც ეს ისტორია ჩამაწერინა ძალზე შორსაა ქრისტიანობასთან, ის არ იცნობს

წმინდანის ბიბლიურ ისტორიებს. თუმცა, აღნიშნავს: „ამ ეპლესის მაშენებელი წმინდა ძალით შეპყრობილი ადამიანი ყოფილა, რომელიც უამრავ სასწაულებს ადავლენდათ“. ვინ იყო საიდან მოვიდა არ იცოდა“. ამ ხალხურ გადმოცემას, სწორედ, წმინდა გიორგის სახელთან მივყავართ, რომლის შემწეობითაც სარგებლობდა ამ ხეობის მცხოვრები. ასევე არსებობს ამ ტოპონიმის მეორე გარიანტიც, რომელსაც 107 წლის გულვარდი ბერიძე მოგვითხრობს: „ხუცუბნის, „თეთროსნის“ ადგილები ყოველთვის წმინდა ადგილებად ითვლებოდა, ჩვენი „ძველები“ (წინაპრები) დიდ პატივს სცემდენო. „თეთროსანში“ ყოველთვის თეთრი ფერის შესაწირი ჩაჲყავდათ“. თუმცა მთქმელი ეპრ აკონკრეტებს რატომ ან რა დანიშნულებით ჩაჲყავდათ შესაწირი. ასევე გასათვალისწინებელია, ის ფაქტიც, თუ რატომ თეთრი ფერის შესაწირი და არა სხვა ფერის.

საუკუნების განმავლობაში აჭარაში, სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, ქობულეთის მოსახლეობა „თეთროსნის“ ადგილს წმინდა ადგილად მიიჩნევდა და მის წაბილწვას ერიდებოდა. ისინი წლების განმავლობაში ტაძრის ნანგრევებთან შესაწირავით მიდიოდნენ და საკვებთან ერთად ფულიც მიჰქონდათ. ამაზე მეტყველებს არქეოლოგების მიერ, ბოლო დროს ეკლესის ნანგრევებთან აღმოჩენილი სხვადასხვა დროის მონეტები. გადმოცემით, იქაურები ამ მიდამოებში ავადმყოფობის განსაკურნებლად სანთელს ანთებდნენ, ლოცულობდნენ და ღმერთს მათ გამოჯამრთელებას ევედორებოდნენ.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, „თეთროსნის“ მიდამოები განსაკურნებული სიწმინდით გამოიჩეოდა—„ტაძრის მიდამოები, ტყე ყოველთვის გასუფთავებული და გაწმენდილი იყო. სიღრმეში დასასვენებელი ადგილებიც ჰქონიათ. აქ არა თუ ხის მოჭრა, წაქცეული ხის ან ჩამოვარდნილი ტოტის წაღებაც კი არ შეიძლებოდა“ (ა. იოსელიანი, 1973: 52-53).

ნაწილი მცნიერებისა ვარაუდობს, რომ **თეთროსანი** წარმართებული ხანის ტოპონიმია, რომელიც თეთრი გიორგის (იგივე წმინდა გიორგის) კულტთანაა დაკავშირებული (ა. იოსელიანი, 1973: 47-54, 1 69, 242). ასევე მკვლევარი რ. სურმანიძე თავის წიგნში „თეთროსანი“ ვრცლად მიმოიხილავს ამ ტაძრის ეტიმოლოგიას. ავტორი ტოპონიმ „თეთროსანს“ აკავშირებს „ამირანიანთან“: „ბადრო, მათხოვე თეთრონი“. თეთრონი თეთრი რაშია და ეს ტოპონიმი წმინდა გიორგის ცხენზე მიგვანიშნებს. სახელწოდება „თეთროსანი“ წარმართებული დროიდან მოდის, ბერძნული „ლეგპორტე“ სწორედ თეთროსნის თარგმანი უნდა იყოს. ეჭვი არაა, რომ ეს სახელი ამავე დროს თეთრ გიორგის უკავშირდება და ამიტომაც დააქვეს აქ აშენებულ ტაძარს წმინდა გიორგის სახელი (რ. სურმანიძე 2007: 4-39).

ენათმეცნიერების—ჯორბენაძისა და სხვათა მოსაზრებით: „ტოპონიმ თეთროსნის ძირებული ნაწილია „თეთრი“, ხოლო — ოსანი — სუფუქსია, რომელიც დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს ზედსართავს და აღნიშნავს რაიმეს მქონებლობას: მანდილ-ოსანი, გვირგვინ-ოსანი, ორდენ-ოსანი...“ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფენებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988, გვ. 353).

ამ ტოპონიმის სახელდებასთან დაკავშირებით, მართალია, მრავალი მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ აქ მის ეტიმოლოგიას, საფუძვლად დაედო არა წმინდანის სახელი, არამედ წმინდანის ცხენისა, რომელიც „თეთრონით“ მოიხსენიება. თუმცა ასევე შესაძლებელია მისი სახელდება კავშირში იყოს მომლოცველ ადამიანთა ტანისამოსის ფერთანაც. კერძოდ: „თეთრ-გიორგობას. სოფელ აწყურში 14 აგვისტოს ხვდებიან. აქ სადამოთი

დიდალი მრევლი მოიყრის თაგს (ფშავებეჭრეთიდან, ქიზიყიდან, ქართლიდან, კახეთიდან) და მთელი დამის განმავლობაში წირვასა და ლოცვაში ატარებენ დროს. მოსული ხალხი ეკლესიას 3-ჯერ ან 7-ჯერ შემოუვლის. ორივე გუნდი დიდებას გალობს— „დიდება და ღმერთსა დიდება, წმინდა გიორგო ცხოველო, შენ ხალოცავად მოველო”. ზარის დარეკვის მერე ეკლესიაში შედიან. წმინდანის მოძღვეველი თეთრი ფერის სამოსშია გამოწყობილი... ეკლესიაში მისულია ხალხი შესაწირი ზარაკით - ვინ ხარით, ვინ ცხვარით. მღვევლი საღმრთო მატყეს შეტუსავს და ლოცვით ამბობს: „წმინდაო გიორგი შეიწირე საღმთო მონისა შენისა”. ისინი წმინდა გიორგის „მონები” არიან, ანუ ისინი, ვისაც აღთქმა აქვთ დადებული გარკვეული დროის განმავლობაში წმინდანის მსახურებისა. ამ დღეს მათ დიაკვანი ათავისუფლებს. მის მერე თეთრ სამოსში შემოსილი ქალები საყდარს ჩოქვით გარს უვლიან. თითო მათგანს ყელზე თეთრი გიორგის ეკლესის მმიმე ჯაჭვი აქვთ და ყველანი ნაზი ხმით გალობენ და თანაც ანთებულ სანთლებს კედლებზე აკრავენ... (ჯავახიშვილი, 2012: 52-53).

ცხენი სიმბოლურად ცხოველმყოფელ ძალას, ტრიუმფს, ძალაუფლებას, მომავლის განჭვრეტას, ამავე დროს ფატალურ საწყისს განასახიერებს (ეს ფატალიზმის მომენტი აპოკალიფტური ცხენებითაც გამოიხატება).

ასევე ცხენი ადამიანის სულის ზესწრაფვასთან ასოცირდებოდა. თუმცა ხშირად ცხენის სიმბოლური შინაარსი გაორებული რჩებოდა, რაზეც მეტყველებს, ერთი მხრივ, ქათქათა თეთრი ცხენი—„ტრიუმფატორი”—ქრისტესი, ხოლო, მეორე მხრივ, აპოკალიფსის ოთხი ცხენი, რომელთაგანაც ჩალისუერს—მხედრად სიკვდილი პყავს (სიმბოლოთა ილისტრირებული ენციკლოპედია, 2007:122). მაგრამ ნიშანდობლივია, ქრისტეს რჩეული მხედარი, ტყვეთა გამანთავისუფლებელი, გლახაკთა ხელის აღმყრობელი წმინდა გიორგი, სწორედ თეთრ ცხენზე ამხედრებული.

საზოგადოდ, თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი უკვე თავისთავადად კეთილშობილების, ბოროტებასთან გამარჯვების სიმბოლო.

1944 წლის ექსპედიციის მონაწილენი გვარაში შესწრებიან „თეთროსნობის“ დღესასწაულს, რომელიც შემდეგ ავთანდილ იოსელიანის ნაშრომშიც აისახა. მკვლევარი ამ დღესასწაულსა და კახეთის თეთრგიორგობას შორის პარალელს ავლებს და მრავალ მსგავსებას ნახულობს (იოსელიანი 1973: 151).

ტრადიციულად, „თეთრი გიორგობა”//„თეთრგიორგობა”—დიდი საეკლესიო სახალხო დღესასწაული, აწყერსა და სხვა ადგილებში 15 აგვისტოს იმართებოდა. (საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007: 361).

წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება ხალხური დღესასწაული „გერისთობა”- რომლის სახელწოდება წარმოდგება სოფ. არბოსთან არსებულ Xს. წმ. გიორგის ეკლესიდან, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გერის წმინდა გიორგის უწოდებს. გერისთობა ერთ-ერთი დიდი დღესასწაულია წმინდა გიორგის დღესასწაულებს შორის ქართლში(სარკის, ატოცის, წმ. გიორგისთან და გორიჯვართან ერთად(საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007: 195).

ზემოთ აღნიშნული ტოპონიმის წარმომავლობა, ქართულ რწმენა—წარმოდგენებიდან მომდინარეობს. „თეთროსახი” დღესაც დგას ისტორიის ნაკვალევზე და თავის მისიას დიდებულად ასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიორგაძე 1989: გიორგაძე მარინა, „თეთროსანი”, გაზ. „საბჭოთა აჭარა”, №VII, 1989.
2. იოსელიანი 1973: იოსელიანი ავთანდილ, ნარკევები კოლხეთის ისტორიიდან”, გამომცემლობა თბილისი.
3. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი: 2007: საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. დამბაშიძე, თბილისი.
4. სირაძე 1987: სირაძე რ, ქართული აგიოგრაფია”, თბილისი.
5. სიმბოლოთა იდისტრიორებული ენციკლოპედია 2007: სიმბოლოთა ილუსტრიორებული ენციკლოპედია ტომი II, გამ. ბაკმი, თბილისი.
6. სურმანიძე 2007: სურმანიძე რამაზ, „თეთროსანი”, გამომცემლობა „ალიორნი”, ბათუმი.
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების S კოლექცია, 1963: ტ. III, ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი.
8. ჯავახიშვილი 2012: ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, ტომი I, გამომცემლობა „პალიტრა”, თბილისი.
9. ჯორბენაძე..1988: ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფენებისა და მოდალური.

Naile Mikeladze

„Tetrosani” etymology in Georgian folklore

Summary

There is no saint – either a martyr or a distinguished spiritual figure – throughout Georgia and the whole Christian world being more popular than Saint George. Almost every survived ruin of churches or cathedrals has been built in the name of St. George. The church “Tetrosani” (a man on a white horse) named after St. George, situated on the outskirts of Gvar-Khutsubani, is one of the ancient religious centers. A group of scientists consider that not only the church, but also quite large area around it was called the name of “Tetrosani” too.

The folk legends also lead to the name of St. George. In old times, while the church was being built in this village.a rider on a white horse arrived there and helped the natives to build the church. That is why the locals called the area and the church “Tetrosani”.

თამაზ ფუტკარაძე

აპარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი 1930-1950-იან წლებში

1930-იან წლებში მიღებულმა სამთავრობო გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწყო საარქივო დარგის შემდგომ განვითარებას. 1930-1935 წლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებთან შემოღებული იქნა **არქივარიუსის** თანამდებობები. 1936 წლიდან აღმასკომებთან შეიქმნა **საარქივო განყოფილებები**. რაიონების სახელმწიფო არქივების ბრძანების წიგნებიდან ირკვევა, რომ წარმოება-დაწესებულებებში უკვე 1937 წლიდან არსებობდა **საუწყებო არქივები**, ხოლო მოგვიანებით, რაიონებში და მსხვილ უწყებებში გაერთიანებული **საუწყებო არქივები** (შერვაშიძე ხ., „არხეიონი“ I, 2011:107).

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი სხვადასხვა დროს სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1929 წლის იანვრიდან განსახომის საარქივო განყოფილების ცენტრალური არქივი დაეჭვებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. 1939 წლის 9 თებერვლის N 14 ბრძანებულებით საარქივო განყოფილება გადადის აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, რომელიც ხელმძღვანელობს ცენტრალურ საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებს (ასსცსა, ფ. 89, ან 1, საქმე 50, ფურც 55. ასევე: საქმე 45 ა, ფურც. 3). 1939 წლიდან სხვადასხვა არქივებში დაცული რევოლუციონულები პერიოდის მასალები გაერთიანდა ერთ - **ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში** (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი. სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961, გვ. 1. (რუსულად) ასსცსა, ფონდი რ-89, ან.1. საქმე 138, ფურც. 1, 2). გაიზარდა საარქივო სამმართველოს პირადი შემადგენლობაც. საარქივო ფონდებში დაცული დოკუმენტური მასალები შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ საარქივო სამმართველოს სტრუქტურა და პირადი შემადგენლობა 1939 წლისათვის. დოკუმენტებში დაფიქსირებულია საშტატო განრიგი, თანამშრომელთა სახელი, გვარი, თანამდებობა, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და ეროვნება. მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ ამ დოკუმენტს:

„აჭარის ცენტრალური საარქივო სამმართველოს მმართველი-ოსმან ახმედის ძე ხალვაში, ბოლშევკიური პარტიის წევრი, ქართველი/ აჭარული. უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, მცხოვრები ორჯონიკიძის ქუჩა 10 (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 68. ან 1. ფურც. 19.)

1. ვასილ სალომატინი ივანეს ძე, ცენტრალური არქივის დირექტორი, ბოლშევკიური პარტიის წევრი, რუსი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, ცხოვრობს ლუქსემბურგის 34;
2. ნიკოლოზ მიხეილისძე სპილიოტი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - უპარტიო, უკრაინელი. უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული. ცხოვრობს გოროდოკში, პროლეტარის გზატკეცილი 33;

3. გასილ იოსების ძე გოგელია, უფროსი ინსპექტორი, ალკა-ს წევრი, ქართველი, საშუალო ტექნიკური განათლებით, დასაოჯახებელი. ცხოვრობს ქუთაისის ქ. 25;
4. პრუცენკო კონსტანტინე ათანასეს ძე, ინსპექტორი, უპარტიო, რუსი, დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, დაოჯახებული. ცხოვრობს ბარცხანის შოსე 6;
5. თამარა ტიკარაძე ედიშერის ასული, უფროსი ტექნიკური მუშაკი, ალკა-ს წევრი, ქართველი, უმაღლესი განათლებით, გათხოვილი, ცხოვრობს ჯაფარიძის ქ. 38
6. მარია გიორგის ასული გორდეზიანი, უმცროსი ტექნიკური თანამშრომელი, უპარტიო, ქართველი, საშუალო განათლებით, გათხოვილი, ცხოვრობს ენგელსის ქ.4
7. ნადეჟდა ანგონის ასული გარტი, საქმეთა მმართველი, მემანქანე, უპარტიო, ქართველი, საშუალო განათლებით, ქვრივი, ცხოვრობს კიროვის ქ. 34
8. გიორგაძე გიორგი გრიგორისძე, კომენდანტი, ალკა-ს წევრი, ქართველი, სწავლობს, დასაოჯახებელი. ცხოვრობს პუშკინის ქ. 100;
9. ჭანუყვაძე დიომიდე ილარიონის ძე, კომენდანტი, უპარტიო ქართველი, დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, დასაოჯახებელი, ცხოვრობს პუშკინის ქ. 60
10. ელიავა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული, ბუხალტერი, უპარტიო, ქართველი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული. ცხოვრობს კიროვის ქ. 20;
11. პაპუნაშვილი ამირან კალენიკეს ძე, კურიერი, უპარტიო, ქართველი, მოსწავლე, დასაოჯახებელი, ცხოვრობს პუშკინის ქ. 57;
12. შერიფ ზადე სადიქ, დამლაგებელი, უპარტიო, თურქი, განათლების არმქონე, ქვრივი. ცხოვრობს ლიბერალის ქ. 44.“

დოკუმენტს ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ოსმან ხალვაში (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 35, ფურც 62). იმავე საქმის 61 გვერდზე საარქივო სამმართველოს თანამშრომლებს შორის ფიგურირებს აგრეთვე დავით ილარიონის ძე ქილიფთარის სახელი, რომელიც მუშაობდა საქმეთა მმართველის თანამდებობაზე (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 35, ფურც 61). ამავე საქმეში წარმოდგენილია ქალაქის არქივის სამჩატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები 1938 წლისათვის:

1. არქივის გამგე - ხელფასი 450 მანეთი
2. უფროსი არქუვარიუსი - 350 მანეთი
3. არქივის ტექნიკური თანამშრომელი - 250 მანეთი
4. მბეჭდავ - მემანქანე - 200 მანეთი
5. კურიერ-დამლაგებელი - 120 მანეთი (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 68, ფურც 75).

იმავე, 1938 წლისათვის რაიონული არქივები წარმოდგენილი იყო ორ-ორი საშტატო ერთეულით: არქივის გამგე (ხელფასი 400 მანეთი) და არქივის ტექნიკური თანამშრომელი (ხელფასი 250 მანეთი) (ასსცხა, გ. რ. 89, ან 1, საქმე 35, ფურც 75).

საქმეში დაცულია 1939 წლისათვის კურიერის თანამდებობაზე მომუშავე მარია გიორგის ასული ფეხსენკოს (ასეცხა, ფ. რ-89, საქმე 35, ფურც. 10) ანკეტა:

Личная карточка Архивариуса

Фамилия, имя, отчество **Фрессенко Мария Георгиевна**

Место рождения (село или район) **Село Гадухи Бисс Погондзинского района**

Происхождение или бывшее сословие, указать точно **Крестьянка.**

Занимается в настоящее время **Историком**

Наименование профессии или специальности **Редколлегия**

Национальность **Чеченка.**

Семейное положение **женат.**

Оформление: а) общее, б) юридическое **3 кн. школы**

Участвовали в старой армии, когда и какую должность занимали
Участница Красной армии, занимала должность санитара.

Участвовали в Красной армии, когда и какую должность занимали до последнего времени
Участница Красной армии, занимала должность санитара.

Все отношения и воинской повинности в настоящее время
Свободна.

Деятельность, с какого года и № билета
Участница Красной армии, занимала должность санитара.

Занималась парт. ком. cause, когда и за что именно
Участница Красной армии, занимала должность санитара.

Занималась лицом ответственности за революционной деятельностью, когда и за что
Участница Красной армии, занимала должность санитара.

Составлялась под судом, когда и за что именно
Участница Красной армии, занимала должность санитара.

За какой должности работали с 1930 г. по настоящее время: **Редколлегия.**

Подпись: **Мария Фрессенко**

Приложение к карточке: **10**

Я, ныне подпишавший 11.2. 1959 г., даю свою подпись Центроархиву в том, что обяжусь держать в секрете все дела и материалы, с хождением в процессе расследования, и буду иметь возможность ознакомиться с ними в своем случае не разглашать их. За несоблюдение этого подлежу наказанию, установленному законным порядком.

19 сен. 1959 г. гор. Батуми.

Подпись: **Мария Фрессенко**

Адрес: **Директор Архива МВД**

დოკუმენტებით დაკომპლექტება მიმდინარეობდა თანდათანობით, მაგრამ 1940 წლამდე ვერ ხერხდებოდა ფონდების მოწესრიგება. არ არსებობდა დოკუმენტური მასალების დაცვისა და შენახვის არანაირი პირობები. დაწესებულებები არქივს დოკუმენტებს აბარებდნენ დაუმუშავებელი, ხშირად გროვების სახით. არქივისტები იძულებული იყვნენ მიეღოთ ეს დოკუმენტები, რათა არ დაკარგულიყო ისინი, შემდეგ კი ცდილობდნენ მათ წესრიგში მოყვანას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით საარქივო დარგის მუშაკებს მიეცათ ადგილზე არსებული დოკუმენტების დამუშავებისათვის მეოთხეური ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლება (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 26).

საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალებმა აჭარის ცენტრალურ არქივში შემოსვლა დაიწყო 1928-1930-იანი წლებიდან, თუმცა 1928-1947 წლებში შემოსული დოკუმენტების რაოდენობის წარმოდგენა არაა შესაძლებელი, რადგან დოკუმენტების შემოსვლის აღრიცხვის უზრნალი შემოიღეს მხოლოდ 1948 წლის იანვრიდან (ასეცა, ფონდი რ-89, „КНИГА УЧЕТА ПОСТУПЛЕНИЙ ДОК. МАТЕРИАЛОВ», N 1). ამდენად, გაურკვეველი რჩება 1948 წლამდე არსებული საქმეთა ერთეულების რაოდენობა, რადგან სათანადო დონეზე არ იდგა აღრიცხვიანობა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის საქმიანობა (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ასეცა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც5).

1948 წლამდე დოკუმენტების მიღება ხდებოდა მიღება-ჩაბარების აქტებით, რომლებიც არ შენახულა. ამასთან, 1936 წლამდე მიღებული დოკუმენტები არ ასახულა წლიურ ანგარიშებშიც (თუმცა არაა შემონახული ყოველი წლის ანგარიშიც).

დოკუმენტური მასალებით ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაკომპლექტების სურათის აღდგენა ნაწილობრივ შესაძლებელია 1936-1947 წლების დაკომპლექტების გეგმების მიხედვით, თუმცა ეს მონაცემები არაა ზუსტი. ყოველთვის ვერ ხერხდებოდა გეგმიური დავალებების შესრულება.

შედარებით უფრო ზუსტი მონაცემების წარმოდგენა შესაძლებელია 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან. საარქივო მასალები იძლევიან ინფორმაციას 1948 წლის შემდგომ შემოსული დოკუმენტების რაოდენობის შესახებ (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 27,28):

დოკუმენტების მიღების წლები	ახალი ფონდების რ-ბა	ფონდების ნა- რობა	შესანახი ერთე- ულების რ-ბა
-------------------------------	------------------------	----------------------	-------------------------------

1948	127	2	8 026
1949	33	18	54194
1950	60	16	17844
1951	177	10	2 841
1952	70	14	5 805
1953	15	9	2747
1954	21	25	16 986
1955	46	42	6 616
1956	34	27	7 728

1957	2	10	2 650
1958	1	1	1 363
1959	4	21	5464
1960	-	6	384
1961	3	2	511
1962	1	9	2070
1963	77	77	27 276
1964	6	10	4553
1965	24	24	6440
1966	27	8	2557

ეს მონაცემები რამდენადმე განსხვავდება ა. კარასევას მიერ მოტანილი სტატისტიკისაგან. ეს სხვაობა დოკუმენტების არასრულყოფილი აღრიცხვიანობის შედეგია. კარასევას მიხედვით 1950-1960 წლებში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 27):

წლები ს/ერთეული	შემოვიდა	ახალი ფონ-დები
1950	11 942	15
1951	2 649	6
1952	5 539	10
1953	3 196	8
1954	9 884	10
1955	6681	12
1956	7 937	10
1957	6 938	8

1958	5930	5
1959	4 620	8
1960	3908	5

როგორც ვხედავთ, 1950 წელთან შედარებით, შემოსული დოკუმენტების რაოდენობა 1960 წლისათვის შემცირებულია. ეს განპირობებული იყო საკავშირო ხელისუფლების შესაბამისი გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით არქივს უნდა მიეღო მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის დოკუმენტები (ა. კარასევო, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 27).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 1958 წლიდან საარქივო მასალები გაიყო ორ ჯგუფად:

ა. სამეცნიერო მნიშვნელობის საარქივო დოკუმენტები

ბ. საცნობარო ხასიათის მასალები

ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ არქივსაცავებში განთავსდებოდა სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტები, ხოლო დაწესებულებებში თავს მოიყრიდა საცნობარო ხასიათის მასალები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 29). ამ გადაწყვეტილებამ ბოლო მოუღო საცნობარო ხასიათის მასალების შემოსვლას ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში. ამავე დროს აჭარის სახელმწიფო არქივმა დაიწყო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის პირადი შემადგენლობისა და საცნობარო დოკუმენტების უკან დაბრუნება (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 28). ამ ღონისძიებით ვარაუდობდნენ არქივისტების განტვირთვას საცნობარო საქმიანობისაგან, რათა მათ ხელი მოეკიდათ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 28).



არქივის თანამშრომლები 1958 წელს

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დოკუმენტური მასალები შემოდიოდა არა მარტო ადგილობრივი ორგანიზაციებიდან, არამედ საქართველოსა და სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდანაც. მაგ. 1952 წ. როსტოკის საოლქო არქივიდან აჭარის ცენტრალურ არქივში შემოვიდა ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების უფროსი ინსპექტორის მასალები. 1957 წ. კი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო-ისტორიული არქივიდან შემოვიდა უანდარმერიის პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების საარქივო დოკუმენტები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 25, 26).

დოკუმენტების დაკომპლექტებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე დოკუმენტების ექსპერტიზას. დოკუმენტების ზუსტი შერჩევა ამაღლებდა სამუშაოთა შესრულების რაოდენობასა და ხარისხს, ხელს უწყობდა უსარგებლო დოკუმენტებისაგან ფონდსაცავების განტვირთვას.

გააქტიურდა დოკუმენტების ექსპერტიზასთან დაკავშირებული საქმიანობა აჭარის ცსა-ში. 1940-იან წლებამდე არქივისტები დაკავებული იყვნენ ექსპერტიზით და დოკუმენტების მოწესრიგებითი სამუშაოებით (ასსცსა, ფონდი რ-89, ს. 13, ფურც.7), 1950-60-ინი წლებიდან კი განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფონდების გადამუშავებას, აღწერების სრულყოფას, მათი ისტორიული და სამეცნიერო ღირებულების განსაზღვრას და საქმეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას.

ყველა ეს სამუშაოები შესრულდა საარქივო დაწესებულების იმუამინდელი ხელმძღვანელების: სერგო ყუფარაძის (1932-1937 წწ.), ოსმან ხალგაშის (1937-1939 წწ.), გასილ სოლომოტინის (1939-1941 წწ.), ალექსანდრე პროტოპოვის (1941-1942 წწ.), კასიანე ბაბილონის (1942-1943 წწ.), გალინა ივანოვას (1943-1946 წწ.), გლადიომერ ოდიშარიას (1946-1947 წწ.) და ტატიანა ნეფელოვას (1947-1961 წწ.) მმართველობის პერიოდში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასსცსა, ფ. 89, ან 1, საქმე 13, 35, 45 ა, 50, 68, 138,
2. ასსცსა, ფონდი რ-89, „КНИГА УЧЕТА ПОСТУПЛЕНИЙ ДОК. МАТЕРИАЛОВ», N1
3. ჩაგანავა გრ., აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279
4. თავაძე მ., აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967
5. კარასევა ა., „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961.

6. შერვაშიძე ხ., „საარქივო დაწესებულებათა ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „არხეოლოგი“ I, ბათუმი, 2011.

Tamaz Putkaradze

**Central State Archives of Ajara in 1930-50-ies
Summary**

The government's decisions in the 1930s contributed to the further development of the field of archives. Archives materials makes it possible to restore the archives department activities, structure and personnel. The article discusses the main activities of Archives institutions of Ajara in 1930-1950-ies.

ქუთავის გუბერნატორი

თანამდებობები საბანაცათლებლო სისტემა მიღწევები, პოლიტიკი და პერსონალიზები

ცოდნის საზოგადოება იგივე სწავლის საზოგადოებაა. ეკონომიკური წარმატება და მუდმივი ინოვაციების კულტურა დასაქმებული ადამიანების სწავლისა და სწავლების უნარზეა დმოკიდებული. ძლიერი საზოგადოება სწორედ სწავლისა და ინოვაციის ძალას ეფუძნება. საგანმანათლებლო პრობლემატიკის სახელმწიფო ებრივი თვალთახედვის არეში მოქცევა ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის წინსვლა-განვითარებას. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი აქცენტები უნდა იყოს მიმათული განათლების რეფორმების სწორად წარმართვაზე, რათა საგანმანათლებლო სივრცე ყველასთვის იყოს მისაღები და მოსაწონი. სკოლის თვითმენეჯ-მენტი უნდა გაუქმდეს და პრიორიტეტი ისეთი სკოლების შექმნაზე უნდა კეთდებოდეს, რომლებიც საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

სწავლა-დაზრდის ძევლი ტრადიციული ფორმები თითქოს გამძლეობას იჩენს, მაგრამ იგი მაინც გრძნობს უფრო მაღალ პედაგოგიურ კულტურაზე გადასვლის საჭიროებას. დღეისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემა წარმატებებთან ერთად ბევრ ხარვეზსაც შეიცავს. განათლების ცალკეული დარგები ნაწილობრივ მოშლილია და საჭიროებს რადიკალური სისტემური ცვლილებების შეტანას, რათა მომავალი რეფორმის გატარებით იგი თუნდაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დონეს მიუახლოვდეს.

ისმის კითხვა რა არის რეფორმა და რას უნდა ემსახურებოდეს იგი? თუ არ მოაქვს რეფორმამდელზე უფრო უკეთესი შედეგი, მაშინ რა საჭიროა იგი?

მთავრობაც და საზოგადოებაც უნდა აცნობიერებდეს, რომ განათლების რეფორმა არა კონკრეტული ტიპის ეკონომიკისათვის საჭირო ცოდნითა და უნარზეებით აღჭურვაზეა დამოკიდებული, არამედ სწავლის შესაძლებლობებსა და ცვლილებებთან გამკლავების უნარის გაზრდაზე რათა ქვეყანამ შეძლოს სწრაფი და მოქნილი რეაგირება, ადაპტაცია და არსებული სტატუსის შენარჩუნება მომავალი ეკონომიკური შესაძლებლობებისა და რეცესიების ფონზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ სინგაპურის მაგალითი, რომელიც სულ რაღაც სამი მილიონი მაცხოვრებლისგან შედგება. მათი ხედვა განათლების სფეროში გულისხმობს ისეთი საზოგადოების შექმნას, რომელიც წარმოადგენს „სწავლაზე ორიენტირებულ ქვეყანას ანალიტიკური სასწავლო დაწესებულებებით“. აღნიშნული ხედვის შესაბამისად სინგაპურში შეამცირეს ეროვნული სასწავლო გეგმა, მაქსიმალურად წახალისებულია მოქნილობა და შემოქმედებითობა, ბევრი სკოლა დაფუძნდა ან გადაკეთდა სასწავლო ორგანიზაციად. საგანმანათლებლო კვლევებისთვის გამოყოფილია დაახლოებით 50 მილიონი აშშ. დოლარი. სინგაპურის მთავრობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის მომავალი ხალხზეა დამოკიდებული.

სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელნი ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ძლიერი და გაუმჯობესებული განათლების სიტემა არსებითად მნიშვნელოვანია მდგრადი ცოდნისა და ეკონომიკის დასამკვიდრებლად,

თავისთავად ასეთი ზეპირი რეკომენდაციები ნაკლებად შედეგიანია და სახელმწიფო განათლების რეალობას ფაქტობრივად არ ცვლის. ამდენად სასწრაფოდ გვესაჭიროება უფრო კონკრეტული და შთამბეჭდავი იდეები.

ბოლო წლებში განათლების რეფორმა საქართველოში რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით მიმდინარეობდა: სკოლამდელი განათლების რეფორმა; ზოგადი განათლება ანუ სკოლები; უმაღლესი განათლება; პროფესიული განათლება ამავდროულად რეფორმა გატარდა მეცნიერების კუთხითაც.

სკოლამდელი განათლება

ა. სკოლამდელი დაწესებულებები რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ

ადამიანის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის პირველ ექვს წლიწადს. სწორედ ამ ასაკში ხდება ბავშვის იმ თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბება, რომლებიც მომავალში განსაზღვრავს მის წარმატებებსა და მიღწევებს. ამიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ექვს წლამდე ასაკის ბავშვებს შევუქმნათ მაღალხარისხოვანი სკოლამდელი განათლება.

საქართველოში გატარდა სკოლამდელი განათლების რეფორმა, თუმცა საბავშვო ბაღები ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში გადავიდა. არ ყოფილა შემუშავებული სკოლამდელი განათლების მიზნები, ფორმები, სტანდარტები თუ პროგრამა. საბავშვო ბაღი ისევ განიხილებოდა როგორც მოსახლეობის სოციალური პროექტი. უბულებელყოფილ იქნა მისი საგანმანათლებლო ფუნქცია.

თვითმმართველობის ორგანოებმა სამართავად მიიღეს მოუქნელი, მორალურად მოძველებული საბჭოური სტრუქტურა. საქართველოს ბავშვების დიდ ნაწილს კვლავაც არა აქვთ საშუალება მიიღოს მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლება.

ბ. სკოლამდელი განათლების ძირითადი მიზნები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით სკოლამდელი განათლების ძირითადი ამოცანაა შეიქმნას ისეთი გარემო, რომ 6 წლის ასაკისათვის ბავშვის განვითარებაში მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები შემდეგ სფეროებში: ბაღმა უნდა შეძლოს და უზრუნველყოს სოციალურ-ემოციური განვითარება, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება, განუვითაროს შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარები, სწავლისადმი მიღგომა.

ზოგადი განათლება

ა. რეფორმის მთავარი ორიენტირი.

განათლების რეფორმის მთავარი მიღგომა იყო განათლების სისტემისთვის შედეგზე თეორეტიკულებული, გამჭვირვალე შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის შექმნა. ამ მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიგეგმა და განხორციელდა. სკოლებს აქვთ ზუსტი ორიენტირი. შეიცვალა მოსწავლისა და მშობლის, სკოლის პერსონალისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სქემა. სახელმწიფო შეწყვიტა სკოლების დაფინანსება და გადავიდა მოსწავ-

ლის დაფინანსებაზე. (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმების სტრატეგიები, 2010:37)

დადებით მოვლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ სკოლების განვითარება სწრაფი ინფრასტრუქტურით. სკოლები უზრუნველყოფილია გათბობისა და განათლების სისტემებით, ინტერნეტიზაციით, აქტიურად მიმდინარეობს კომპიუტერიზაციის პროცესი, სასკოლო ბიბლიოთეკის შევსებება საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოებით .

პ. პროექტი - „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“. განათლების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი იყო „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“. პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოში იმ 1000 ინგლისურენოვანი მასწავლებლის მოწვევა, რომლების საქართველოს სკოლების მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლაში დაეხმარებოდა. ინგლისური ენის შესწავლაში პირადი კონტაქტი შეუცვლელია (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმების სტრატეგიები, 2010:25). აღნიშნული ფორმით სასწავლო გარემოს შექმნა გაცილებით ეფექტურია.

გ. სასერტიფიკაციო გამოცდები.

2010 წლის ივლისიდან დაიწყო მასწავლებლთა სერთიფიცირება, რომელიც ნებაყოფლობითია და უნდა გაგრძელებულიყო 2014 წლამდე.

განათლების სისტემას ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. არსებული სტატისტიკის თანახმად 68 584 პედაგოგიდან სერთიფიცირებულია 9 895 პედაგოგი. ამ ტენდენციის მიხედვით საეჭვოა მასწავლებლების სრული კონიგენტის სერთიფიცირება. ამიტომაც ბოლო პერიოდში აღნიშნული საკითხისადმი ხელისუფლების პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვალა.

კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში სულ მაღლე თვალსაჩინო გახდება პედაგოგების ნაკლებობა. 2018 წლისათვის ქვეყანაში საჭირო იქნება 20 000 ახალი მასწავლებლის მომზადება. არსებული კონტიგენტი დატოვებს სამსახურს მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას.

ამ ეტაპზე ხარისხიანი სწავლების თვალსაზრისით ბევრი პრობლემაა, კერძოდ: მასწავლებლის დაბალი მოტივაცია, მასწავლებლის პროფესიის არაპრესტიულობა, სახელმწიფოსაგან ნაკლები მხარდაჭერა, რეპეტიტორობის ინსტიტუტი, პროფესიაში კარიერული ზრდის შესაძლებლობების არ არსებობა, სკოლის დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ნაკლები მხარდაჭერა.

მოსწავლეთა მიღწევები მნიშვნელოვნად იზრდება იქ, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება პედაგოგის პროფესიაში მოტივირებული მაღალი მოსწრების კურსდამთავრებულთა მოზიდვასა და მათ შემდგომ განვითარებაზე (მაგალითად სამხრეთ კორეა პედაგოგის პროფესიაში მოზიდვას სკოლის კურსდამთავრებულების საუკეთესო 5 % წარმომადგენლებს, ფინეთი-საუკეთესო 10%-ს, ხოლო პონკონგი და სინგაპური საუკეთესო 30%-ს).

სერთიფიცირება ამ ეტაპზე მოიაზრებს მხოლოდ სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, თუმცა მომავალში (2015 წლიდან) სერთიფიცირების კომპონენტები უნდა იყოს გასაუბრება და მასწავლებლის პორტფოლიოს შემოწმება. პორტფოლიო ეს არის დოკუმენტაციის ნაკრები, სადაც შეტანილი იქნება

ყველა ის აქტივობა, რაც მასწავლებელმა გაიარა. 2014 წლის სექტემბრიდან დიპლომის ხარისხის და სერთიფიცირების გათვალისწინებით მოქმედი მასწავლებლები გადანაწილდებიან სამ კატეგორიად:

1. ყველა არასერთიფიცირებული მასწავლებელი (ბაკალავრი, მაგისტრი) - შევა პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაში;
2. ყველა სერთიფიცირებული მასწავლებელი (ბაკალავრი, მაგისტრი)- შევა წარჩინებული მასწავლებლის კატეგორიაში;
3. საგნის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც არის მოქმედი მასწავლებელი - გახდება მკლევარი მასწავლებელი;
4. ამ ეტაპზე მენტორი მასწავლებელი არ იქნება (ქმედითი ნაბიჯები მომავალშიც გაგრძელდება. გან. ახალი განათლება, 24-30 ოქტომბერი, 2013)

გათვალისწინებულია ყველა პედაგოგის ჩართვა სქემაში - მიუხედავად იმისა, იქნება ის სერთიფიცირებული თუ არასერთიფიცირებული.

წარუმატებელ რეფორმად მიიჩნევენ განათლების 12-წლიან სისტემაზე გადასვლასაც. დღეს 12-წლიანი სწავლების პირობებში თავს იჩენს მრავალი პრობლემა. 18-19 წლის სრულწლოვან მოსწავლეს აქვს სხვა პრობლემები. დაოჯახებულებს, ყოფითი პრობლემებით დატვირთულებს აქვთ მოსწავლის სტატუსი//იმუნიტეტი, რაც გაცილებით ადიდებს მათი თავისუფლების ხარისხს, საპირისპიროდ კი მცირდება მასწავლებლის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლე ისე იქცევა როგორც მას უნდა. ის ხომ სრულწლოვანია. ტრაგედია ისაა, რომ მგრძნობიარე და მიმბამველი უმციროსი ასაკის მოსწავლეები ცუდ მაგალითს იღებენ უფროსი კლასებისგან (ბესიკ ლორთქითანიმე, რამდენიმე მოსაზრება საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილი ზოგიერთი ცვლილების შესახებ. გან. „ახალი განათლება“, 2013 წ. 17-23 იანვარი).

დ. მანდატური - უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ახალი ინიციატივაა. მისი მიზანი იყო შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია სწავლის პერიოდში. სკოლებში მანდატურების შესვლის შემდეგ საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის მიმართ გარკვეული ხდობა გაჩნდა. შემცირდა დისციპლინის დარღვევის და ძალადობის ფაქტები, აღმოიფხვრა თამბაქოს მოხმარება, შემცირდა მოსწავლეების დაგვიანებისა და გაპარვის - ე.წ შატალოს, ასევე ფულის გამოძალვის, საჯარო განდალიზმის და სხვა ფაქტები, თუმცა, ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება შეფასდეს მანდატურების ინსტიტუტის შემოღება. მოსწავლეთა დეკრიმინალიზაციის თვალსაზრისით ამ სისტემამ უდაოდ შეასრულა დიდი როლი, სკოლებში დამყარდა წესრიგი, თუმცა შიშჩე დაფუძნებულ წესრიგს პერსპექტივა არ აქვს. რამდენამდე დაკნინდა სკოლის მასწავლებლისა თუ ადმინისტრაციის როლი და ავტორიტეტი, რამაც მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა სასკოლო დაწესებულებები.

ვფიქრობთ, რომ მანდატურების ძირითადი ფუნქცია სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან მუშაობით უნდა ამოიწურებოდეს. იგი არაფრით არ უნდა შექმნოს მასწავლებლის საქმიანობის შემოწმებას. ამისათვის სახელმწიფოს სხვა ბერკეტები გააჩნია.

ზოგადად შეიძლება ასევე ითქვას, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს სკოლის ინდივიდუალური ვალდებულებებისა და მხარდაჭერის გამართული სისტემა, რომელიც ერთის მხრივ სკოლებს გაუჩენდა პასუხისმგებლობას, რათა მაღალი ხარისხის განათლება მისცენ მოსწავლეებს, ხოლო მეორე მხრივ დაეხმარებოდა ამ ქუთხით არსებული პრობლემების გადაჭრაში. საზოგადოება ითხოვს სკოლისგან მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღები პირობების შექმნას.

პროფესიული განათლება

ა. რეფორმის აუცილებლობა პროფესიული განათლების სფეროში.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო. რეფორმის შედეგად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები. სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან გაიარონ ავტორიზაცია და დააკმაყოფილონ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები.

2010 წლიდან საგრძნობლად დაიხევეწა პროფესიული განათლების საკანონმდებლო ბაზა: დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები, შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტები გაანგარიშების წესი, დამტკიცდა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულ იქნა ხარისხის მართვის შიდა (თვითშეფასება) და გარე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) მექანიზმები.

განხორციელებულ რეფორმას აქვს აგრეთვე სუსტი მხარეები, კერძოდ: დაბალი პრესტიჟი, პროგრამების, სასწავლო მასალებისა და სპეციალურად მომზადებული პედაგოგების არარსებობა, წარმოებასთან კავშირის არარსებობა, სამოქალაქო სექტორის დაბალი ინტერესი (მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია მხარს უჭერს სასკოლო და უმაღლესი განათლების რეფორმას. სამწუხაროდ, პროფესიული განათლების რეფორმასთან მიმართებაში არასამთავროები ბევრად უფრო ნაკლები აქტივობით გამოირჩევიან, მაშინ როდესაც ამ სექტორის მხარდაჭერა რეფორმის წარმატების მნშვნელოვან პირობას წარმოადგენს), ინფორმირებულობის დაბალი დონე, არასაკმარისი ფინანსური რესურსები, სუსტი ან საერთოდ არარსებული კავშირი განათლების სისტემის სხვა რგოლებთან და ა. შ.

უმაღლესი განათლება და მეცნიერება

საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში გატარებულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა განათლებისა და მეცნიერების სფეროში გატარებული რეფორმები. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დაკარგა იდეოლოგიური სარჩევი, თუმცა ბევრი რამ კვლავ საბჭოური დარჩა როგორც საორგანიზაციო, ასევე მეთოდიკის თვალსაზრისით. სწავლა-აღზრდის ძველი ტრადიციული ფორმების ცალკეული სფეროების ნაწილობრივი გამძლეობის მიუხედავად, მანაც იგრძნობა უფრო მაღალ პედაგოგიურ კულტურაზე გადასვლის საჭიროება. შესაბამისად, დაინერგა არაერთი სიახლე, თუმცა უგულებელყოფილი იქნა ბევრი აპრობირებული რაციონალური ელემენტი. რეფორმების გატარებისას შესაბამისი სახელმწიფო უწყებები ეყრდნობოდნენ არა რომელიმე ერთი

ქვეყნის, არამედ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ერთდროულად. ცალკეულ შემთხვევებში უგულებელყოფილი იყო ადგილობრივი გამოცდილება და ეროვნული სპეციფიკა. შედეგად მივიღეთ არასტაბილური, ყოველწლიურად ცვლადი კანონმდებლობა, რამაც ნაწილობრივ ამ სისტემაშიც განაპირობა გარკვეული ქაოსი. ოუმცა მიღწეული იქნა გარკვეული წარმატებებიც. გადაიდგა ნაბიჯები, რათა საგანმანათლებლო სივრცე მეტ-ნაკლებად მისაღები გახდეს საქართველოს კველა მოქალაქისათვის და შეიქმნას ისეთი ქსელი სკოლებისა, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მოთხოვნილების შესაბამისი ცოდნის მიღებას.

დღეისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემა წარმატებებთან ერთად ბევრ ხარვეზსაც შეიცავს. განათლების ცალკეული დარგები ნაწილობრივ მოშლილია და საჭიროებს რადიკალური სისტემური ცვლილებების შეტანას. განათლება და მეცნიერება მუდმივად მოითხოვს ბარიერების გაუქმებას, რაც გააფართოებს მობილობასა და მჭიდრო კოოპერაციას. ჩვენმა ქვეყანამ კარგად უნდა გააცნობიეროს ასეთი ეკოლუციის მხარდაჭერის აუცილებლობა. სკოლამდელ დაწესებულებებში, ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ჩარჩოების პროგრესული პარმონიზაცია შეიძლება მიღწეული იქნას მიღებული გამოცდილების გამოყენებით, საერთო დიპლომებით, საპილოტო ინიციატივებით და რაც მთავარია დაინტერესებულ კომპეტენტურ პორებს შორის დიალოგის წარმართვით.

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმების სტრატეგიები, თბ. 2010
2. გაზ. „ახალი განათლება“, 2013 წლის 24-30 ოქტომბერი. ქმედითი ნაბიჯები მომავალშიც გაგრძელდება.
3. ბესიკ ლორთქიფანიძე, რამდენიმე მოსაზრება საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილი ზოგიერთი ცვლილების შესახებ. გაზ. „ახალი განათლება“, 2013 წლის 17-23 იანვარი.

Ketevan Putkaradze

**Modern Educational System
Achievements, Problems and Prospects
Summary**

A strong society is based on the power of learning and innovation. The article discusses the modern educational system, its achievements, problems and prospects.

თამაზ გუბერნატორი ნატო ქიქავა

აჭარის საარქივო სამმართველო სამრთაშორისო ურთიერთობაში

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული უნიკალური ისტორიული დოკუმენტების პოპულარიზაციის, ასევე მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანების საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

საბჭოთა პერიოდში აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივისა და საზღვარგარეთის არქივებთან რაიმე სახის თანამშრომლობა შეუძლებელი იყო. სპონტანურ ხასიათს ატარებდა მოკავშირე რესპუბლიკების არქივებთან თანამშრომლობაც. ამ ფონზე მნიშვნელოვან ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 1971 წ. 22 აგვისტოს მოსკოვში გამართული არქივების მეშვიდე საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მოხაწილეობდნენ აჭარის საარქივო დაწესებულების წარმომადგენდებიც. ცოტა მოგვიანებით, 1977 წელს საქართველო მოინახულა ბრიტანეთის ნაციონალური არქივის დირექტორმა, დოქტორმა იდმა. იგი ეწვია აჭარის რეგიონალურ არქივსაც.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გახდა შესაძლებელი უფრო სრულფასოვანი ურთიერთობების დამყარება უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან. არქივის სტრუქტურაში გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულების. 1998 წლის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაბამისად ჩამოყალიბდა „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება“, თუმცა მალე აღნიშნულ განყოფილებას ჩამოშორდა საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქცია და ეწოდა „ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის განყოფილება (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826. ფურც. 45)

აღნიშნული განყოფილების ფონდირების შემდეგ, 1999 წლის ივნისში აჭარის საარქივო სამმართველოს ესტუმრა თურქეთის არქივების გენერალური გაერთიანების დირექტორის მოადგილე ნეჯათ აქტაში. სტუმრის მიღებისას მოეწყო შესაბამისი წერილობითი და ფორმოდოკუმენტების გამოფენა, შედგა საუბარი, რომელიც შეეხებოდა თურქეთის არქივებსა და წიგნსაცავებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებულ დოკუმენტებს. დაისვა საკითხი დასახელებული დოკუმენტების ასლების შემოტანის შესახებ, განხორციელდა საპასუხო ვიზიტებიც, თუმცა ვერ მოხერხდა ჩანაფიქრის განხორციელება. არც რაიმე სახის თანამშრომლობის დოკუმენტისათვის მოუწერიათ ხელი (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც.172, 173, 174-175). ფაქტობრივად, 2010 წლამდე ურთიერთობანამშრომლობის მემორანდუმი არცერთ უცხოურ არქივთან არ გაფორმებულა.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება-გააქტიურებას განსაკუთრებული უურადღება მიექცა 2010 წლიდან. სწორედ ამ წელს, აჭარის მთავრობის 2010 წლის 17 ივნისის N 20 დადგენილებით ჩამოყალიბდა „საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება“, ხოლო მომდევნო 2011 წელს „პუბლიკაციისა და დოკუმენტების გამოყენების განყოფილებასთან“ (რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით არსებობდა 1990-იანი წლებიდან) გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა „საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილება“.

განყოფილების ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო აქტიური მუშაობა უცხოეთის ცენტრალურ თუ რეგიონალურ არქივებთან საარქივო და სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლად. პირველობა ამ თვალსაზრისით წილად ხვდა ბულგარეთს. 2008 წლის ივნისში ჩატარდა აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში ქართველ არქივისტებთან და მკვლევარებთან ერთად მონაწილეობდნენ ბულგარეთის, რუსეთის, თურქეთის საარქივო და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებითა წარმომადგენლები.

მომდევნო წლებში ტრადიციად იქცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება. გაფართოვდა კონფერენციების მუშაობაში მონაწილე უცხოელ მკვლევართა მონაწილეობის მასშტაბებიც. ბულგარელ და რუს კოლეგებს შემოუერთდნენ ავსტრიელი, მაკედონელი და სომეხი კოლეგებიც. 2011 წლის 30-31 მაისს ჩატარდა აჭარის საარქივო სამმართველოს, ბლაგოევგრადის ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო-ბულგარეთი, ისტორიული პარალელები“. ეს კონფერენცია იყო როგორც უცხოეთთან, ისე საქართველოს სასწავლო დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის ნათელი მაგალითი. კონფერენციის დასრულებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, 2011 წ. 2 ივნისს საარქივო სამმართველოს ესტუმრნენ ბლაგოევგრადის უნივერსიტეტის დელეგაცია მარიანა პისკოვას, კრისტინა პოპოვას, მილენა ანგელოვას, ანასტასია პაშოვას, ნურიე მურატოვას და პიერ ვოდენიჩაროვის შემადგენლობით, მათგან ორი - მარიანა პისკოვა და მილენა ანგელოვა კვლავ ესტუმრნენ საარქივო სამმართველოს 2014 წ. 5 სექტემბერს.



საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ აგრეთვე მაკედონელი სომეხი, ბერძენი და ავსტრიელი და პოლონელი კოლეგები.

2013 წლის 1 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია ბრიტანელი მკვლევარი რობერტ ლ. ჯერმენი. იგი უკვე წლებია მუშაობს ბრიტანეთის არქივებში, საქართველოსა და კერძოდ ჩვენს რეგიონთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების მოძიებასა და გამოქვეყნებისათვის. შეხვედრის დროს დაისვა ბრიტანეთის არქივებში საქართველოს შესახებ დაცული მასალების შემდგომი კვლევა-ძიების გაღრმავების გზებისა და შესაძლებლობების საკითხი.

აჭარის საარქივო სამმართველოს საერთაშორისო კავშირების გაღრმავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის სტუმრობას ბათუმში 2014 წლის 10 ივნისს. იგი შეხვდა არქივისტებს და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. შეხვედრის ინიციატორი იყო თავად ევროკავშირის ელჩი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ისაუბრა იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელზე, რასაც საქართველო მიიღებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. საუბარი შეეხო საარქივო სამმართველოში დაცულ ოსმალური პერიოდის დოკუმენტების მნიშვნელობასაც.




საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები ჩატარდა მომდევნო 2012, 2013, 2014 წლებში.



არქივისტები საერთაშორისო კონფერენციაზე, 2013 წ. აგვისტო



არქივისტები საერთაშორისო კონფერენციაზე, 2014 წ. სექტემბერი
კონფერენციის მასალები გამოიცა ცალკე კრებულების სახით.



სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავებამ დღის წესრიგში დააყენა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მომზადებისა და გაფორმების აუცილებლობის საკითხი.

2010 წლის 1 ნოემბერს, ბულგარეთში. სოფიაში ხელი მოეწერა აჭარის არ საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო სააგენტო „არქივებს“ (ბულგარეთი) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ღოკუმენტს ხელი მოაწერეს: აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსმა კახაბერ სურგულაძემ, სახელმწიფო სააგენტო „არქივები“-ს თავმჯდომარემ - პროფ. გორგი ბაკალოვმა და ბლაგოვეგბრადის ტერიტორიულო არქივის განყოფილების გამგემ - პეტრე სტანევმა.



მემორანდუმის ხელმოწერა სოფიის (ბულგარეთი) არქივთან

მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ბათუმელი არქივის-ტების სტაჟირება ბულგარეთში. 2013 წლის აპრილ-ივნისში ბულგარეთის სახელმწიფო არქივში სტაჟირება გაიარა პროფესორმა თამაზ ფუტკარაძემ.

ასეთივე მემორანდუმი გაფორმდა სხვა ქვეყნის არქივებთანაც. 2010 წლის 24 დეკემბერს უკრაინაში, ქ. ოდესაში ხელი მოეწერა აჭარის არ საარქივო სამმართველოსა და ოდესის სამსარეო სახელმწიფო არქივებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ხოლო 2012 წლის 31 ივლისს მსგავს დოკუმენტს ხელი მოეწერა შტირიის მიწის (გრაცის, ავსტრია) სამსარეო არქივთანაც. მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო საარქივო სფეროში მხარეების თანამშრომლობა, ინფორმაციების გაცვლა და პროგრესული გამოცდილების გაზიარება.

როგორც ცნობილია, სოფიაში, კირილეს და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული იყო მე-16-18 საუკუნეების ოსმალური დოკუმენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ ამ სამეცნიერო დაწესებულებასთან დაახლოებას. მცდელობას შედეგიც მოყვა. 2013 წლის 20 ივნისს სოფიაში (ბულგარეთი) ხელი მოეწერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოსა და სოფიის წმინდა კირილეს და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: გურამ სალაძემ (აჭარის არ საარქივო სამმართველოს

უფროსი) და ბორიანა ქრისტოვამ (სოფიის კირილეს და მეთოდეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი). ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ: ბულგარეთში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ირინე ბურდული, საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯაბა ბერიძე და საზოგადოებასთან, მასმედიასთან, საზღვარგარეთთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე.



www.archives-ajara.gov.ge



www.archives-ajara.gov.ge

მემორანდუმის ხელმოწერა სოფიის (ბულგარეთი) ბიბლიოთეკასთან

2011 წ. 23 მარტს საარქივო სამმართველო მასპინძლობდა შვედეთის ბიზნესის ცენტრის წარმომადგენლობით დელეგაციას ცენტრის დირექტორის ალექსანდერ ჰიუსბაის ხელმძღვანელობით. სტუმრებმა გამოთქვეს აჭარის საარქივო სამმართველოსთან თანამშრომლობის სურვილი და წარმოადგინეს ძმები ნობელების კომპანია „ბრანიბელები“-ს საერთაშორისო გებგვერდის შექმნის პროექტი, რომელშიც თავს მოიყრიდა ბიზნესის ისტორიასთან დაკავშირებული წერილობითი და ფოტოდოკუმენტები. შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა საპასუხო ვიზიტი.

2011 წლის 28 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე სტოკოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის მიწვევით შვედეთის სამეფოში იმყოფებოდა დელეგაცია, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: აჭარის აგტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსი თენგიზ ცინცქილაძე და ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელი თემურ ტუნაძე. შვედეთის სამეფოში ვიზიტის დროს დელეგაციას შეხვედრები პქონდა სტოკოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელთან ალექსანდრე ჰიუსბაისთან, შვედეთის ეროვნული არქივის დირექტორთან ბიორნ ჯორდელთან და მის მოადგილესთან ანა-კარენ ჰერმადოსთან.



შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრი

შეხვედრები გაიმართა აგრეთვე ძმები ნობელების მუზეუმში, შვედეთის სამეფოს მეცნიერებათა აკადემიაში და სამსედრო არქივში. **საქართველოს ეროვნულმა არქივმა, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველომ და ბათუმის მმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურმა მუზეუმმა შვედეთის კულტურის სამინისტროში სტოკოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმები.**



მემორანდუმის გაფორმება შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან

2013 წლის ნოემბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება უკრაინის სახელმწიფო არქივთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ, მაგრამ უკრაინაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეფერხა ეს პროცესი.

მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივთან (მდებარეობს პეტერბურგში), სადაც დაცულია უამრავი დოკუმენტი სამსრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ. ამ მიზნით, 2014 წლის ნოემბერში პეტერბურგში იმყოფებოდა საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე, რომელმაც ჩამოიტანა კავკასიის შესახებ იქ დაცული დოკუმენტების ანაწერები. ზემოთაღნიშნულ არქივებ-

თან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე შესაძლებელი გახადა უცხოეთში არსებული ხელნაწერებითა და საარქივო დოკუმენტებით აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდების გამდიდრება.

საარქივო სამმართველო პერიოდულად მასპინძლობს საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებების დელეგაციებს. მუდმივად მუშაობს უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიმართულებით, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, კონგრესებში, მრგვალ მაგიდებში. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „არქივების საერთაშორისო საბჭოში“ (ICA) გასაწევრიანებლად.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826
2. ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871

Tamaz Putkaradze
Nato Kikava

**Archives Administration of Ajara
International relations
Summary**

For populatization of unique historical documents protected in archives administration of Ajara, also in terms of establishing international standards of work, it's essential to cooperate and share of experiences with relevant bodies of foreign countries. The article deals with the cooperation issues between Archives Administration of Ajara and Archival and Science institutions of foreign countries.

საარქივო სამმართველოში დაცული პიტონ სულაბერიძის პირადი ფონდი (მიმოხილვა)

საარქივო სამმართველო ყოველთვის აქცევდა განსაკუთრებულ უწრადებას პირადი ფონდებით ცენტრალური სახელმწიფო არქივის გამდიდრებას. არქივის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისადმი პერიოდულად იგზავნებოდა შესაბამისი შინაარსის წერილები, ოხოვნები, მიმართვები. შედეგმაც არ დააყოვნა. ცენტრალურ არქივში სახელმწიფო შენახვაზე შემოვიდა გამოჩენიდ პიროვნებათა, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის სფეროს დამსახურებული მუშაკების, საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეების პირადი ფონდები. მათ შორისაა აჭარის ასესრ ხელოვნების და კულტურის დამსახურებული მოღვაწის პეტრე ნიკოლოზის ძე სულაბერიძის პირად ფონდი.

პეტრე სულაბერიძის პირადი ფონდი (ფ. № რ-335) აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემოვიდა 1989 წელს. ფონდში ირიცხება 65 საქმეთა ერთეული, რომლებშიც წარმოდგენილია ავტორის შრომები, ლექსები, მოგონებები, მოხსენებები, სტატიები, ბიოგრაფიული მონაცემები, პირადი მასალები.

პეტრე სულაბერიძე დაიბადა 1927 წელს. 1956 წელს დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1950-56 წლებში სწავლისას მოუწყვეტლად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელ სახლში ციხისძირის კულტმასიური მუშაობის ორგანიზატორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა

საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილებაში, ბათუმის ნაკოობგადასამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეში მხატვრული თვითმოქმედების ორგანიზატორის, გამგების თაგმჯდომარის, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორის, მასწავლებელთა სახლის დირექტორის თანამდებობებზე. პარალელურად იყო აჭარის სახელწიფო ფილარმონიის მსახიობი, აგიტატორი, დრამატული კოლექტივების ხემძღვანელი, მრავალი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის ავტორი და დამდგმელი. კერძოდ: „შოთა რუსთაველი“, აკაკი წერეთელი“, „გალაქტიონ ტაბიძე“, ილია ჭავჭავაძე“ და მრავალი სხვა. შოთა რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემის - „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ჩატარებული აქვს ათეულობით ლექცია-კონცერტი მოსკოვში, ხერსონში, ესენდუკში, ხაბაროვსკში, სოფიაში და სხვაგან. გამოცამული აქვს ლექსების რამოდენიმე კრებული. აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან, წლების განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირ - ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

პეტრე სულაბერიძე გარდაიცვალა 1984 წლის 28 ივნისს. მოსახლეობა დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა ღვაწლმოსილ და დამსახურებულ პორვებას.

როგორც ითქვა, პ. სულაბერიძის პირად ფონდში ინახება 65 საქმეთა ერთეული.

საქმე № 1- ში (84 ფურცლი) წარმოდგენილია ნაშრომი „კალმასობა ქართული სიმღერისა და ცეკვისა“, რომელიც აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსაბლის 60 წლის იუბილეს ეძღვნება. (პეტრემ მისი დასრულება ვერ მოასწრო. ეს საქმე ბოლომდე მისმა ქალიშვილმა მანანა სულაბერიძემ მიიყვანა). წიგნში ორგანულადაა ჩართული იმ პიროვნებათა ბიოგრაფიული ცნობები, ვინც ამაგი დასდო ანსაბლის დაარსებასა და მის შემოქმედებით წინსვლას. 60 წლის მანძილზე ანსაბლმა მოამზადა და შეასრულა 500-ზე მეტი საგუნდო სიმღერა, 100-ზე მეტი ცეკვა, ჩაატარა უამრავი კონცერტი, ტრიუმფით მოიარა ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, დანია, გერმანია, ეგვიპტე, სირია, ალბანეთი. ზემოთდასახელებული წიგნის შესავალი (ხელნაწერი) წარმოდგენილია საქმე № 2 -ში.

მომდევნო საქმეებში (საქმე № 3, 4, 5, 6,7) წარმოდგენილია მოსამზადებელი წიგნების საორენტაციო თემატური გეგმები, ნაშრომები მირიან ჩხილიშვილის, ენვერ ხაბაძის, გულნარა ნოლაიდელის შესახებ.

პეტრე სულაბერიძის ლექსების კრებული „როს ოცნება სტრიქონებში იღვრებოდა“, „აკროსტიხული და მაჯამური ლექსები“ გამოუქვეყნებელი „არაუგარია“ დაცულია აღნიშნული ფონდის მე-8, 9, 10, 11 საქმეებში. ამავე საქმეებშია საქრთველოს სახალხო არტისტის გაიოზ გოგიბერიძის დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მისალმების ნაწილი და პეტრე სულაბერიძის ლექსი „გაიოზ გოგიბერიძეს“.

სხვა საქმეებში წარმოდგენილია მოხსენებები, საზეიმო სხდომებზე წარმოთქმული სიტყვები („ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა“, „ბულგარეთ ხალხთა დღესაწაული“ და სხვა) (საქმე № 12, 13, 14), „შინმოუსვლელ ძმათა სახლის“ აშენების, კეთილმოწყობის და სამუზეუმო ექსპოზიციის გეგმა, სალექციო თემების ხელნაწერები, მოხსენებითი ბარათი ბულგარეთში მოგზაურობის შესახებ (საქმე № 15, 16, 17, 18), სამხედრო ნაწილებში წაკითხული ლექციების პროგრამა, პოლიტიკური სწავლების საკონსულტაციო ჯგუფის მუშაობის გეგმა და თეზისები, ჩანაწერები აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ (საქმე № 19, 20, 21) და ა. შ.

საგაზეთო სტატიები, პ. სულაბერიძის გამოუქვეყნებელი სტატია „განდაგანას ოსტატი“, ტურისტული მოგზაურობის და „აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსაბლის მოღვაწეობის ამსახველი მასალები და დღიურები, საქართველოს ქალაქებასა და მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის „შოთა რუსთაველის“ ჩატარებასთან დაკავშირებული მიმოწერები და მიმართვები წარმოდგენილია №22-23-24-25-26-27-28-29, 30 32-33-34 საქმეებში, ხოლო 35-

45 საქმეებში დაცულია პ. სულაბერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ-სახველი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი გარდაცვალებისა და დაკრძალ-ვის დროს წარმოთქმული სიტყვები, ლექსები დეპეშები, წერილები. მომდევ-ნო (46-63 საქმეები) საქმეებში დაცულია მასალები ფონდშემქმნელის შესა-ხებ. აქვე პ. სულაბერიძისადმი მიძღვნილი ლექსები და წერილები: „საქმემან შენმან დამაწერინა”, „ჩემი პეტრე”, „იყავ მეუფე შთამბეჭდავი ღონისძიებები-სა”, „ძვირფასი”, პეტრე სულაბერიძის ხსოვნას” და სხვა. აქვე დაცული სი-გალები, დიპლომები, მოსაწვევი ბარათები, ავტობიოგრაფია, ლექცია-კონცერ-ტების აფიშები, რეცენზიები და სხვა საინტერესო მასალები.

ამრიგად, საარქივო სამმართველოში დაცულ პირადი შემადგენლობის ფონდებს შორის დოკუმენტების სიმრავლით, პირადი ცხოვრებისა და იმ-დროინდელი ვითარების ამსახველი მასალების სიუხვით გამორჩეულია პეტ-რე სულაბერიძის ფონდი.

პირადი ფონდების მოძიება და დამუშავება მოითხოვს ყოველდღიურ ძალისხმევას, შრომასა და პასუხისმგებლობას. პირადი ფონდები საარქივო დაწესებულებების ოქროს ფონდს განეკუთვნება. ვიმედოვნებოთ, რომ საზო-გადოებრიობის წარმომადგენლები გაითავისებენ მის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობენ პირადი წარმოშობის ფონდებით საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდსაცავების შევსებასა და გამდიდ-რდებას.

გამოყენებული წყაროები:

ასსცსა, ფ. № რ-335, საქმეები № 1-65

Tsitsi Tsintsadze

Peter Sulaberidze private fund protected in Archives Administration (review)

Summary

Among the private funds protected in Archives Administration is Peter Sulaberidze private fund, which is distinguished by the large number of documents, private life and materials reflecting of that time situation. The article deals with the life and work of Peter Sulaberidze.

**პულტურის და ცივილიზაციის ცხოვათა
ბანსხამებული ასამშება**

კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ანალიზის უახლესი თეორიები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ თანამედროვე ეტაპზე. ისინი საფუძვლად უდევს კაცობრიობის ისტორიის ახალ გააზრებას, სხვადასხვა კულტურებისა თუ ცივილიზაციების ტიპოლოგიურ დანაწევრებას და მათ შორის არსებული კულტურული მემკვიდრეობის პრობლემის შესწავლას.

ცნებები "ცივილიზაცია" და "კულტურა" გაჩნდა ჰუმანიტარული აზროვნების აღრეულ ეტაპზე. თუმცა ისინი თავდაპირველად არ წარმოადგენდნენ ისტორიულ-ფილოსოფიურ კატეგორიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნებები თავისი ღრმა შინაარსით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაინც ძალიან რთულია მკვეთრი ხაზის გავლება კულტურასა და ცივილიზაციას შორის. ორივე ადამიანური მოღვაწეობის სფეროა, ორივე აღნიშნავს ადამიანურ პროგრესს, ანუ ყველაფერ იმას, რასაც მიაღწია ადამიანმა ცხოველისაგან განსხვავებით და რაც დაამატა ბუნებას.

კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართების შესახებ არსებული კონცეფციები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ. ა. კონცეფციები, რომლებშიც აღნიშნული ცნებები სინონიმური მნიშვნელობით მოიხმარება. ისევე როგორც სხვა ტერმინების შემთხვევაში ტერმინი ცივილიზაციაც მოექცა სამეცნიერო მიმოქცევაში, ჩამოყალიბდა ცნებად და შეიძინა კულტურის ცნების სინონიმის მნიშვნელობა. ბ. მეორე ჯგუფის თეორიების მიხედვით, კულტურისა და ცივილიზაციის ცნებები სინონიმები კი არ არიან, არამედ უპირისპირდებიან ერთმანეთს. გ. მესამე ჯგუფის თეორიების მიხედვით, კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართების კიდევ ერთი თვალსაზრისი არსებობს, რომლის მიხედვითაც კულტურა და ცივილიზაცია წარმოადგენს ერთის განსხვავებულ მხარეებს. იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს კულტურასა და ცივილიზაციას შორის არსებული მიმართება, საჭიროა განვმარტოთ კულტურისა და ცივილიზაციის ცნებები.

კულტურის ცნების უამრავი განმარტება არსებობს. რა თქმა უნდა, ამ-ჯერად, ჩვენ არ შევუდგებით თითოეული მათგანის ანალიზს და კლასიფიკაციას, მაგრამ დავძენთ, რომ კულტურის განსაზღვრების ასეთი სიმრავლე გამოწვეულია თვალსაზრის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებით, მისი როლითა და მნიშვნელობით ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში. კულტურის ცნების შინაარსი ისტორიულად იცვლებოდა და თანდათან მდიდრდებოდა საწინააღმდეგო განსაზღვრებებით. კულტურის ცნების თანამედროვე მნიშვნელობის ჩამოყალიბებამდე ამ ცნებამ საინტერესო გზა გაიარა. ჩვენი მიზანია კულტურის ცნების წარმოშობისა და განვითარების ეს გზა მოკლედ დაგახსიათოთ.

ტერმინი "კულტურა" აღმოცენდა ლათინური სიტყვიდან cultura, რაც ნიშნავდა ნიადაგის დამუშავებას, მის კულტივირებას ე.ი. აღნიშნავდა ბუნებრივ ობიექტები ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებს, განსხვავებით იმ ცვლილებებისაგან, რაც გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით. ამჟამად, კულტურის ცნება აღნიშნავს საზოგადოების, შემოქმედებითი ძალებისა და ადამიანური შესაძლებლობების ისტორიულად განსაზღვრულ დონეს, რაც გამოხატულია ცხოვრების ორგანიზაციისა და ადამიანთა მოქმედების ტიპებსა და ფორმებში, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებში. ამიტომ, როგორც აღნიშნავდა ნ. ბერდიავე - კულტურის არსის გაგება შეიძლება მხოლოდ ადამიანის, პლანეტაზე მცხოვრებ ხალხთა მოღვაწეობის პრიზმის გავლით. კულტურა ადამიანის გარეშე არ არსებობს. იგი დასაბამიდან დაკავშირებულია ადამიანთან და აღმოცენებულია იმ მიზნით, რომ ის მუდმივად მიისწრაფვის თავისი ცხოვრების და მოქმედების მიზნის ძიებისკენ, საბუთარი თავის და იმ სამყაროს სრულყოფისაკენ, სადაც ცხოვრობს (სოროკინი პ., 1992:220). სიტყვა კულტურა პრაქტიკულად თითოეული ადამიანის ლექსიკონში გვხდება, მაგრამ ამ ცნებაში სრულიად სხვადასხვა აზრს დებენ: ერთნი მხოლოდ სულიერი ცხოვრების ფასეულობებს გულისხმობენ, მეორენი უფრო ავიწროვებენ ამ ცნებას და მიაკუთვნებენ მხოლოდ ხელოვნების, ლიტერატურის ნიშნებს, მესამენი ზოგადად მოისაზრებენ გარკვეულ იდეოლოგიას.

კულტურას, როგორც მოვლენას შეისწავლის მრავალი კონკრეტული მეცნიერება - არქეოლოგია, ეთნოლოგია, ისტორია, სოციოლოგია. აგრეთვე მეცნიერებები, რომლებიც შეისწავლიან შემცნების სხვადასხვა ფორმებს - ფილოსოფია, ხელოვნება, ესთეტიკა, მორალი, რელიგია და ა. შ. თითოეული კონკრეტული მეცნიერება ქმნის გარკვეულ წარმოდგენას კულტურაზე, როგორც თავის კვლევის საგანზე.

კულტურის ცნების გვერდით, კულტუროლოგიაში ფართოდ გამოიყენება ცივილიზაციის ცნება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, დღეს ცივილიზაცია დომინირებად კულტურულ-ისტორიულ კატეგორიად იქცა. ყურადღება ხალხებიდან და ქვეყნებიდან გადატანილი იქნა უფრო დიდ სტრუქტურებსა და პროცესებზე, რომლებიც ცივილიზაციის მასშტაბებში თავსდება.

სიტყვა "ცივილიზაცია" წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან "ცვილის", რაც "საქალაქო", "სამოქალაქოს" ნიშნავს. ანტიკურ ეპოქაშიც და შეა საუკუნეებშიც ეს სიტყვა იხმარებოდა ცნება "სილვატიკუს"-ის საწინააღმდეგოდ, რაც ველურს, უხეშს ნიშნავდა. აქედან ჩანს, რომ უპყვე იმ უძველეს პერიოდში ადამიანები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ განვითარებულ ცხოვრებას და უხეშ, ბარბაროსულ ყოფას. XVIII ს-დან სიტყვა "ცივილიზაცია" მტკიცედ მკვიდრდება ისტორიკოსთა ლექსიკონში. ამასთან ერთად, იწყება ცივილიზაციების შესახებ სხვადასხვა თეორიების ჩამოყალიბება. ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე კვლევის საგანია ამ ორი ცნების როგორც ურთიერთმიმართების, ისე მათი დაპირისპირების საკითხი. ჩვენ შევცდებით ეს განსხვავებული მოსაზრებები რამდენიმე მეცნიერული შეხედულებით წარმოვადგინოთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ი. შპენგლერის კონცეფცია, რომელიც კულტურასა და ცივილიზაციას კაცობრიობის არსებობის სხვადასხვა მონაცელებად განიხილავდა. კულტურის განვითარების ბოლო სტადიას შპენგლერი ცივილიზაციას უწოდებს. "ყოველ კულტურას აქვს თავისი ცივილიზაცია"- წერდა ი. შპენგლერი. როგორც მცენარის, ცხოველის ან ადამიანის შემოქმედებით ცხოვრებას აუცილებლად მოსდევს დაღმასვლა, ისე ყოველი კულტურის გაფურჩქვნას მოსდევს კულტურის ძალთა გამოფიტვა. ცივილიზაცია არის გარდაუვალი ბედი კულტურისა". (შპენგლერ ი., 1993:30)

კულტურასა და ცივილიზაციას შორის არსებული განსხვავების და მიმართების შესახებ საინტერესოა ნ. ბერდიაევის თვალსაზრისი. ნ. ბერდიაევი ცივილიზაციას კულტურის პოტენციურ მტრად მიიჩნევდა, თუმცა არ გამორიცხავდა მათ თანაარსებობასაც. "როგორც კულტურის ეპოქაში არსებობს ცივილიზაცია, ასევე ცივილიზაციის ეპოქაში არსებობს კულტურა"- წერდა ბერდიაევი. ცივილიზაცია და კულტურა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე თანაარსებობდნენ და მაინც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ცივილიზაცია ითრევს და ხრწის კულტურას, ხდის მას მექანიკურს, მასობრივს, ისეთივე უმისამართოს, როგორც თავად არის" (Бердяев И., 1907:70)

ა. ტოინბი კულტურას ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა, თუმცა მას ყველა კულტურული ტიპი თავისი ცივილიზაციის სქემაში არ მოუქცევია, როთაც, ფაქტობრივად გამიჯნა კულტურა ცივილიზაციის ზოგადი ფორმისაგან.

